

# ხობის მოამბე

№18–19 (7060-61)
15 სექტემბერი,
ხუთშაბათი, 2011 წელი.
ფასი 1 ლარი

# 16–18 სექტემბერს მეხუთედ ჩატარდება ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“

## ხობის მე-5 საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს



მეგრული კულტურა მრავალფეროვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი საინტერესო და მომხიბლავი ნაწილია, ამოუწურავი მისი თაყვანისმცემლისა თუ შემსწავლელისათვის, ამიტომაც მეგრული სიმღერის ფესტივალს, რომელიც უკვე მეხუთედ იმართება, წლიდან წლამდე საყოველთაო ინტერესი არ აკლდება, მეტიც, ის საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ჩინებული მაგალითია. ფესტივალი ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს აქტიურად ეხმაურება და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერების საქმეში.

გულითადად მივესალმები და წარმატებას ვუსურვებ ფესტივალს, სამეგრელოს მოსახლეობას. ფესტივალის სტუმრებსა და მის ორგანიზატორებს. კიდევ ერთხელ გამოვხატავ მადლიერებას იმ დამსახურებისათვის რომელიც თითოეულ თქვენგანს მიუძღვის ქართული კულტურის განვითარებაში.

***მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი.***

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N48

>>>>>>>>> 6-25

## ხობის მე-5 საერთაშორისო ფესტივალის–„სიმღერა სამეგრელოზე“ პ რ ო გ რ ა მ ა



### 16 სექტემბერი

**18:00**-ხობელების მისალმება ფესტივალის მონაწილეებს

**ხობის კულტურის სახლი.**

**21:00**-ახალგაზრდული დისკოთეკა

**ხობის ცენტრი.**

### 17 სექტემბერი

**11:00-12:00**-ფესტივალისა და საფესტივალოდ გამოცემული მასალების პრეზენტაცია-**ხობის კულტურის სახლი.**

**12:00-17:30**-ფესტივალის სტუმრებისათვის ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში.

**12:00-18:00**-კონცერტები სამეგრელოსა და სხვა რეგიონების ანსამბლების მონაწილეობით,

სპორტული და გასართობი ღონისძიებები (ნარდი,ჭიდაობა,ხალხური რეწვის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა).–**ხობის ცენტრი**

**12:00-14:30**-ახალგაზრდა ფოლკლორისტთა და მუსიკათმცოდნეთა II სამეცნიერო კონფერენცია

**ხობის მუკუ ლოლუას სახელობის მუზეუმი.**

**14:00-15:00**- ანსამბლ „გორდელას“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ექსპოზიციის გახსნა.

**ხობის მუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი.**

**20:00-23:00**-სახელგანთქმული ფოლკლორული ანსამბლის “გორდელას“ 50 წლისთავის იუბილე ცნობილი ქართული და უცხოური ანსამბლების მონაწილეობით.– **ხეთის თეატრონი**

**21:00-23:00**-ახალგაზრდული დისკოთეკა._**ხობის ცენტრი.**

### 18 სექტემბერი

**12:00-15:30**-ახალგაზრდა ფოლკლორისტთა და მუსიკათმცოდნეთა II სამეცნიერო კონფერენცია (გაგრძელება).

**ხობის მუკუ ლოლუას სახელობის მუზეუმი.**

**12:00-17:00**-კონცერტები,სპორტული და გასართობი ღონისძიებები

**ხობის ცენტრი.**

**12:00-17:30**-ფესტივალის სტუმრებისათვის ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში და მეგრული სამზარეულოს გაცნობა;

**18:00-20:00**-ქართული ფეხბურთის ლეგენდების:ვლადიმერ ბარქაიას,მურთაზ ხურცილავას და გიორგი სიჭინავას იუბილე.

**ხობის ცენტრი.**

**20:00-23:00**-გალა კონცერტი-ქართველი და უცხოელი მომღერლების მიერ ფესტივალისადმი მიძღვნილი ახალი სიმღერების პრეზენტაცია.

**23:00**-ფესტივალის დახურვა და ფეიერვერკი. _**ხობის სტადიონი.**

## თითოეული ხობელი ფესტივალის შესახვედრად ემზადება

ხობის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც 16 სექტემბერს გაიხსნება, ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა არამარტო ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. ფესტივალის ჩასატარებლად მიმდინარე სამუშაოების და ფესტივალის შინაარსზე გვესაუბრება ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ფესტივალის დირექტორი ქალბატონი რალა ჩემია.

***ქალბატონო რალა, რას ითვალისწინებს ფესტივალის დირექტორის თანამდებობა და რა პრაქტიკა გაქვთ ამ კუთხით გავლილი?***

–ფესტივალი, როგორც ხედავთ, ხობისთვის უკვე ტრადიციად იქცა. მეამაყება, რომ მისი ინიციატორი და სულისჩამდგმელია ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ბატონი გოდერძი ბუკია. ფესტივალი წელს იუბილარია, რადგან იგი უკვე მეხუთედ ტარდება. მან ფესვი ღრმად გაიდგა და უკვე ტრადიციად იქცა. რაც შეეხება ჩემს თანამდებობას, ვმუშაობ გუნდთან ერთად და პასუხისმგებლობასაც ერთნაირად ვინაწილებთ.

***როგორ იქნება წარმოდგენილი წლევანდელი ფესტივალის მონაწილეთა სია და რაოდენობა?***

–მონაწილეთა სია მრავალფეროვანია. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ თბილისისა და საქართველოს რეგიონების საუკეთესო კოლექტივები, მასში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

***რა იქნება „ის“ განსაკუთრებული, რომლითაც თავს მოიწონებს ფესტივალი?***

–ბევრი რამ. პირველ რიგში კი ქართველი და უცხოელი მომღერლების მიერ სპეციალურად ამ დღისადმი შექმნილი სიმღერების პრეზენტაცია. აღინიშნება ქართული ფეხბურთის ლეგენდების ვლადიმერ ბარქაიას, მურთაზ ხურცილავას და გიორგი სიჭინავას იუბილე. ასევე საყოველთაოდ ცნობილი ანსამბლის „გორდელას“ 50 წლისთავი. ზოგი რამ გვინდა საიდუმლოდ დარჩეს და მაყურებელს სიურპრიზად მოვუმზადოთ.

***როგორი იქნება ფესტივალის მიმდინარეობა დროსა და სივრცეში?***

–ამ შეკითხვის პასუხად გაწვდით ფესტივალის პროგრამას, ყველას შეუძლია მისი გაცნობა.

***როგორც ვიცით ფესტივალის დღეებს ემთხვეოდა ლიტერატურული და მუსიკალური გამოცემები, იქნება თუ არა იგი წელსაც შემოთავაზებული?***

–ზემოთ აღნიშნული მასალები მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს მეგრულ ფოლკლორზე, მის ქართველ და უცხოელ მკვლევარებზე, ისინი არაჩვეულებრივად საინტერესო და მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, რომელთაც თან ახლავს კომპაქტდისკები. გამოცემების სრული სია ასე გამოიყურება:

–სიმღერა სამეგრელოზე–ხობის ფესტივალებისადმი მიძღვნილი საიუბილეო ალბომი (ავტორი სპარტაკ ქობულია).

–ანზორ ერქომაიშვილი–გზები, სომღერები, ადამიანები (კომპაქტდისკით).

ნინო ნაკაშიძე–ქართული ხალხური მუსიკის უცხოელი მკვლევარები და შემგროვებლები.

–ედიშერ გარაყანიძე–ქართული ფოლკლორული დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება.

–ნინო კალანდაძე, მარინა კვიჟინაძე–ტრადიციული მუსიკა ქართულ აფხაზურ დიალოგში (სიყვარული გზად ხიდად, აფხაზური ხალხური სიმღერების კომპაქტდისკით. ასრულებენ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების აფხაზური და თანამედროვე ქართული ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლები).

–გომარ სიხარულიძე–„გორდელა-50“–საიუბილეო ალბომი.

–დავით ქლიბაძე–სამი ვარსკვლავი ვლადიმერ ბარქაიას, მურთაზ ხურცილავას და გიორგი სიჭინავასადმი მიძღვნილი ილუსტრირებული ალმანახი.

–ანსამბლ „გორდელას“ სასაჩუქრო აუდიო და ვიდეოდისკების კრებული.

–ხობის მე-4 ფესტივალზე გამართული ალექსანდრე ბასილაიას ფენეფისის ვიდეოდისკი.

–ჟურნალ „ივერიელნის“ სპეციალური საიუბილეო გამოცემა (მთავარი რედაქტორი დარეჯან კვარაცხელია).

***რამე ხომ არ დაგრჩათ სათქმელი?***

–ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს თითოეული კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, უნდა აღვნიშნო, რომ თითოეული ხობელი სიამოვნებით ემზადება ფესტივალის დღისათვის, რათა უკვე მეხუთედ აღვნიშნოთ მეგრული სიმღერის ფესტივალი, მოვეფეროთ, მოვესიყვარულოთ ჩამოსულ სტუმრებს, გავუწიოთ მათ ნამდვილი მეგრული მასპინძლობა, რათა თითოეულ მათგანს კვლავ გაუჩნდეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ მომავალ ფესტივალებში და მის გამრავალფეროვნებაში.

**ესაუბრა მანანა შულაია.**

დაიჯესტი

# საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფოთში რეაბილიტირებული პროფესიული კოლეჯი გახსნა



საქართველოს პრეზიდენტმა ფოთში რეაბილიტირებული პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ გახსნა. სასწავლებელი ახალი ინვენტარითა და თანამედროვე ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკით სრულად აღიჭურვა, გაეროს დაფინანსებით ამოქმედდა ცისკოს ქსელური ლაბორატორია. მსგავსი ლაბორატორია საქართველოში სულ სამია– თბილისში, ბათუმსა და ფოთში.

მიხეილ სააკაშვილმა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სადურგლო, სანტექნიკოსის, ელექტროშემდუღებლის, სამაცივრე მოწყობილობისა და შემკეთებლის და ელექტრიკოსის სასწავლო სახელოსნოები დაათვალიერა. საქართველოს პრეზიდენტი სტუდენტებსაც გაესაუბრა.

როგორც მიხეილ სააკაშვილს კოლეჯის მესვეურებმა განუცხადეს, სტუდენტთა 70 პროცენტი უპრობლემოდ საქმდება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებსა (ფოთის პორტი, კურორტი ანაკლია და სხვ.) და სხვა დაწესებულებებში.

პრეზიდენტის განცხადებით ამ პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები აუცილებლად დასაქმდებიან, რადგან საქართველოში ტურიზმი დღითიდღე ვითარდება, რაც, თავის მხრივ, მომსახურების სფეროს განვითარებას გულისხმობს. ამისთვის კი, აუცილებელია პროფესიონალი კადრები. შესაბამისად, პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები ფოთის პორტში, ქალაქ ანაკლიასა და სხვა ტურისტულ ობიექტებში გადანაწილდებიან.

მიხეილ სააკაშვილი ფოთში მოსახლეობასაც შეხვდა.

ინფორმაცია

# სექტემბრიდან პენსიები გაიზარდა

ჯერ კიდევ შარშან, პენსიონერებთან შეხვედრაზე, საქართველოს პრეზიდენტმა გაახმოვანა ინფორმაცია სექტემბრიდან პენსიების მოსალოდნელი ზრდის შესახებ.

დადგა ეს დრო და დავუკავშირდით სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების მთავარ სპეციალისტს ქალბატონ მარინა ახალაიას, მან გვითხრა, რომ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა რეალიზაციის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის–სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე–სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 22.08.2011 წლის №4–269/ო ბრძანებით, 2011 წლის 1 სექტემბრიდან მომატებული ოდენებით (100 ლარი) პენსია დაერიცხებათ საპენსიო ასაკისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების (I ჯგუფი) სტატუსის საფუძველით სახელმწიფო პენსიის მიმღებ ბენეფიციარებს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ასაკის საფუძველით პენსიის მიმღებ ბენეფიციარებს ასაკის პენსიაზე (100 ლარზე) შრომის სტაჟის მიხედვით დანამატი დაემატებათ არსებული წესით, რომელიც მოქმედებს 2007 წლის 1 სექტემბრიდან.

# საქართველო ბარაქ ობამას ახალ ინიციატივას მიუერთდა



საქართველო აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინიციატივას, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევების დასაძლევად მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებას ისახავს მიზნად, მიუერთდა. ამის შესახებ დღეს გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა.

„ინიციატივის მიზანია ხელი შეეწყოს მმართველობის ეფექტურუნარიანობას და მის გამჭვირვალობას, რაშიც სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული. ინიციატივის ავტორები აშშ-ისა და ბრაზილიის პრეზიდენტები არიან“, - განმარტა კალანდაძემ.

მისივე თქმით, ინიციატივისთვის შეერთების თხოვნით საქართველოს საგარეო უწყებამ სპეციალური მიმართვა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონისგან მიიღო, რაზეც თბილისმა თანხმობა გასულ კვირას ოფიციალური წერილით დაადასტურა.

„წერილში ნათქვამია, რომ ჩვენ არა მხოლოდ ვუერთდებით ამ ინიციატივას, არამედ მზად ვართ აქტიურად ჩავერთოთ ამ ინიციატივის ეფექტურად განხორციელებაში“,–აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ბრიუსელში ევროკომისარს საშინაო საქმეთა დარგში სესილია მალმსტრომს შეხვდა



მხარეებმა გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული შეთანხმებების განხორციელების პროცესი განიხილეს.

ევროკომისარმა მიმდინარე ეტაპზე მიღწეული პროგრესი დადებითად შეაფასა.

გრიგოლ ვაშაძემ და სესილია მალმსტრომმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციისთვის განსახორციელებელ ღონისძიებებზეც ისაუბრეს და სავიზო დიალოგის დაწყების მიზანშეწონილ პერიოდზე იმსჯელეს.

„პირველი“

# ცესკოს თავმჯდომარემ ვარშავაში, კიევსა და კიშინოვში შეხვედრები გამართა

ცესკოს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა ცესკოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსთან ერთად ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ორგანიზებით ვარშავაში გამართულ სემინარში მიიღო მონაწილეობა.

სემინარი, სადაც ამომრჩეველთა სიის დახვეწის საკითხებს განიხილავდნენ 31 აგვისტო–1 სექტემბერს ჩატარდა. შეხვედრაში სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების (IFES, UNDP, IDEA), მოსახლეობის რეგისტრაციასა და სტატისტიკაზე პასუხისმგებელი ორგანოების წარმომადგენლები და ექსპერტები მონაწილეობდნენ; მათ შორის იყვნენ სტუმრები ავსტრიიდან, ფინეთიდან, ალბანეთიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან, სომხეთიდან და ა.შ. მონაწილეებმა წარმოადგინეს საკუთარი გამოცდილებები ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესში, ასევე გაეცნენ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციებს რეგისტრაციის პროცესის დაკვირვების კუთხით.

ცესკოს ცნობით, ვიზიტის პერიოდში საქართველოს ცესკოს თავმჯდომარე პოლონეთის ცესკოს წარმომადგენლებსაც შეხვდა; მხარეებმა ერთმანეთს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებში არსებული გამოცდილებები გაუზიარეს.

1-5 სექტემბერს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეწვია, სადაც შეხვედრები გამართა უკრაინელ კოლეგასთან ვოლოდიმირ შაპოვალთან და კომისიის წევრებთან. შეხვედრებზე მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და არსებული წარმატებული გამოცდილებები განიხილეს.

5-6 სექტემბერს კი ცესკოს თავმჯდომარე კიშინიოვში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო, რომელიც ევროპის საბჭოს ორგანიზებით და ევროკავშირის დაფინანსებით გაიმართა. კონფერენციაზე, სადაც ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების გზებს განიხილავდნენ, თითოეულმა მონაწილემ აღნიშნული მიმართულებით საკუთარი გამოცდილება წარმოადგინა. მოგვიანებით კი ამომრჩეველთა განათლების სხვადასხვა სპეციფიური სფეროები განიხილეს, მათ შორის: არჩევნებში მონაწილეობა კონფლიქტურ რეგიონებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსახლეობის საარჩევნო პროცესებში ჩართულობა, ტრენინგ ცენტრების არსებობის საჭიროება, სახელმძღვანელოების საჭიროება ამომრჩევლებისთვის და ა.შ.

„მედიანიუსი“

# ნინო კალანდაძე_ საქართველოსა და ბრაზილიას შორის უვიზო რეჟიმი ამოქმედდება

საქართველოსა და ბრაზილიას შორის უვიზო რეჟიმი ამოქმედდება. ამის შესახებ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.



მისივე თქმით, აღნიშნულ ხელშეკრულებას ბრაზილიაში საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ვიზიტისას მოეწერა ხელი. როგორც კალანდაძემ განმარტა, ქართული მხრიდან ბრაზილიის მოქალაქეებისათვის მოქმედებდა ერთწლიანი უვიზო მიმოსვლა, თუმცა მოგვიანებით, ბრაზილიამაც გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვისაც გამარტივებული სავიზო რეჟიმი ამოქმედებულიყო.

„უვიზო რეჟიმი, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ამოქმედდება“,–განაცხადა ნინო კალანდაძემ.

„ინტერპრესნიუსი“

# 15 სექტემბერს ყველა საჯარო სკოლაში სწავლა განახლდება !

## სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებებით

**ხათუნა გერგაია**–*ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად ემზადება ახალი 2011-2012 სასწავლო წლისთვის და საზოგადოებას ბევრ სიახლეს სთავაზობს. ხობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალ სასწავლო წელს შინაარსობრივი, სტრუქტურული და ტექნოლიგიური ცვლილებები განხორციელდა.

1.სპეციალურად საქართველოს სკოლებისთვის შექმნილი ნეტ-ბუკები ხობის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლამ მიიღო. ახალ სასწავლო წელს 355 პირველკლასელს და მათ დამრიგებლებს ნეტ–ბუკები საჩუქრად გადაეცემათ. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა ნეტ-ბუკი „ბუკი“. ნეტ-ბუკებში ჩატვირთულია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მყოფი სასკოლო პროგრამები, ბავშვებისთვის შექმნილი შემეცნებითი თამაშები და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

სასწავლო პროცესში ნეტ-ბუკების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ ხობის მუნიციპალიტეტის პირველი კლასის 37 დამრიგებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში გადაამზადა პროგრამით „1:1 ელექტრონული სწავლება“. ტრენინგი 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა (45 კრედიტ საათი)

ხობის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ინტერნეტიზებულია. პირველკლასელთა საკლასო ოთახებში უკაბელო ქსელის მოწყობა ხორციელდება wireless access point სისტემით.

აქედან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან ნეტ-ბუკები სახელმძღვანელოებთან ერთად, პირველკლასელთათვის ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი უნიკალური საშუალება იქნება.

2. 2011–2012 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველ კლასებში 5 წლის ბავშვების ჩარიცხვასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ურეკში გადამზადდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველი კლასის 27 დამრიგებელი პროგრამით „ხუთი წლის ასაკის ბავშვების სწავლების თავისებურებები“

3. პროგრამა –„ ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ – ფარგლებში გადამზადდა მუნიციპალიტეტის 74 მასწავლებელი. ტრენინგის ხანგრძლივობა იყო 13 დღე.

4. ეროვნულ სასწავლო გეგმაში უცხო ენების სწავლებაში შეტანილ იქნა ცვლილება. ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულო გახდა სწავლების პირველ საფეხურზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადამზადდა მუნიციპალიტეტის ინგლისური ენის 28 მასწავლებელი. ინგლისურის ენის შესწავლა პირველი კლასიდან მაკმილანის ახალი სახელმძღვანელოებით დაიწყება;

5.სიახლეა პირველი–მეექვსე კლასების სახელმძღვანელოთან დაკავშირებით. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით სკოლებში ახლად გრიფირებული სახელმძღვანელოები შევა. დაწყებით საფეხურზე სახელმძღვანელოების ავტორი კონკრეტული სკოლის კონკრეტულ საგანში იქნება ერთი და იგივე და უცვლელი რჩება 6 წლის განმავლობაში.

6. 2010-2011 სასწავლო წელსაც გრძელდება სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის სახელძღვანელოების უფასოდ გაცემის სახელმწიფო პროგრამა. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მოსწავლეები, რომელთა ოჯახისთვის მინიჭებული ქულა 70 ათასის ქვემოთაა, ხოლო მეშვიდედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეები, რომელთა ოჯახების ქულა 57 ათასის ქვემოთაა, სახელმძღვანელოს უფასოდ მიიღებენ. ეს სახელმძღვანელოები მომავალ წელს სასკოლო ბიბლიოთეკებში დარჩება და მათი გამოყენება სხვა მოსწავლეებსაც შეეძლებათ. აღნიშნული პროცესით სასკოლო ბიბლიოთეკები ეტაპობრივად შეივსება.

7.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, მიმდინარე სასწავლო წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი საგანი “საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება” შემოდის. შეიქმნა შესაბამისი სახელმძღვანელო, გადამზადდნენ მასწავლებლები. ხობის მუნიციპალიტეტს 11 გადამზადებული და სერთიფიცირებული მასწავლებელი ჰყავს. მასწავლებელთა გადამზადების პროცესი გრძელდება.

ავტომობილის მართვის თეორიულ კურსს მოსწავლეები სკოლაშივე გაივლიან. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოზარდები 17 წლის ასაკში, მშობლის თანხმობის შემთხვევაში, მართვის დროებით მოწმობებს უსასყიდლოდ მიიღებენ. მათ საშუალება ექნებათ ქალაქში ავტომობილით იმოძრაონ, აეკრძალებათ მხოლოდ მგზავრების გადაყვანა. 18 წლის ასაკში კი, დროებითი მოწმობის ნაცვლად, ახალგაზრდა საერთაშორისო სტანდარტის მართვის მოწმობას ასევე უსასყიდლოდ აიღებს.

8. პროექტი „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად” უკვე ერთი წელია რაც წარმატებით ხორციელდება. ინგლისურენოვანი მოხალისე პედაგოგები ადგილობრივ პედაგოგებთან მოსწავლეებს ინგლისურს გაძლიერებულად ასწავლიან.

პროექტის ,,ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად” ფარგლებში მოხალისე პედაგოგების ჩამოსვლა გრძელდება. ახალ სასწავლო წელს ხობის საჯარო სკოლებში 10 უცხოელ მოხალისე მასწავლებელს ველოდებით. თითოეული მათგანი სპეციალურად ამ პროგრამისთვისაა შერჩეული, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.

საჯარო სკოლები და მასპინძელი ოჯახები მზად არიან უცხოელი მოხალისე მასწავლებლების მისაღებად.

ახალი წლის სიახლეებთან ერთად მინდა ვისარგებლო შემთხვევით, აღვნიშნო და აქვე მივულოცო ხობის მუნიციპალიტეტის მასწავლებლებს და მოსწავლეებს სასერთიფიკაციო და ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული წარმატებები:

2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დარეგისტრირდა 254 მასწავლებლობის კანდიდატი. 7–მა მასწავლებელმა ბარიერი გადალახა როგორც საგანში, ასევე პროფესიულ უნარებში და სერტიფიცირებული გახდა. 9 მასწავლებელმა ჩააბარა მხოლოდ საგანი, ხოლო 31–მა – მხოლოდ გამოცდა პროფესიული უნარებში. თუმცა ეს არ არის საბოლოო მონაცემი, რადგან მუნიციპალიტეტის 34– მა აპლიკანტმა შეიტანა საპრეტენზიო განაცხადი, ხოლო შედეგები ჯერჯერობით უცნობია. ამ დროისათვის 2010–2011 წლების სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების მიხედვით მუნიციპალიტეტს ჰყავს 24 სერტიფიცირებული მასწავლებელი, მხოლოდ ერთი გამოცდა ჩაბარებული აქვს 50 მასწავლებელს.

2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხობის მუნიციპალიტეტის მაშტაბით დარეგისტრირდა 138 აბიტურიენტი, საქართველოს სხვადასხვა აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა – 95 აბიტურიენტი. მეორადი ჩარიცხვების შედეგბი ჯერჯერობით უცნობია.

ტრადიციულად წელსაც გაგრძელდება პროექტი „ ჩემი პირველი კომპიუტერი“. ხობის მუნიციპალიტეტის მეათე კლასის 10 წარჩინებულ ათოსან მოსწავლეს სამინისტრო პორტატულ კომპიუტერს საჩუქრად გადასცემს.

ზემოთ ჩამოთვლილი სიახლეები 2010-2015 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა. სისტემაში დაგეგმილი და გატარებული რეფორმები მიზნად ისახავს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში საერთაშორისო დონის სტანდარტების დანერგვას. ხობის საგანმანმანათლებლო სისტემა აქტიურადაა ჩართული რეფორმის განხორციელების პროცესში და დამერწმუნეთ, განათლების სექტორში გატარებული რეფორმის თითოეული ნაბიჯი დადებით შედეგს გამოიღებს უახლოეს მომავალში.

ამ სიახლეების ფონზე გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, გისურვებთ წარმატებებს!

## „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“

***რესპოდენტი, რომელთან შეხვედრა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს, გამოირჩევა უშუალობით, ბევრ დადებით თვისებასთან ერთად უბრალოებას ვაფასებ მასში, წარმატებების მიუხედავად, წარმატებით ტკბობა არ უყვარს. სკოლის დირექტორი, კარგი პედაგოგი, საკრებულოს წევრი, სამივე საქმიანობა მეტად საპასუხისმგებლოა. თუ როგორ უთავსებს ერთმანეთს ამ საქმიანობებს ქალბატონი ნანა ქვარაია ჩვენთან საუბრისას შეიტყობთ.***

**ქალბატონო ნანა, როგორი მომზადებული ხვდებით ამ სასწავლო წელს?**

–მართლაც ძალიან ბევრი სიახლით ხვდება სკოლები ახალ სასწავლო წელს, რადგან რეფორმა არ არის ერთჯერადი პროცესი. ეს არის უწყვეტი ჯაჭვი ცვლილებებისა, დრომ ნამდვილად დაამტკიცა, რომ ის რაც ხდება საგანმანათლებლო სივრცეში იყო საჭირო და აუცილებელი. მთელი ზაფხულის პერიოდი იყო მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. წელს ინერგება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა I-VI კლასებში და ჩვენი სკოლის პედაგოგები ამ ხნის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები შესაბამისი საგნების ტრენინგებში. წელს ყველა პირველკლასელი მიიღებს ნეტ-ბუქსს, ყველა სოციალურად დაუცველი მოსწავლე სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს უფასოდ. ინერგება ინგლისური ენის შესწავლა ყველა კლასში. სკოლაში მუშაობას აგრძელებს პროგრამა”ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში ინგლისური ენის ამერიკელი მასწავლებელი მაიკლ როუსი. ასევე, ჩვენი სკოლის პედაგოგები აქტიურად იყვნენ ჩართული სასერთიფიკაციო გამოცდებში. მთლიანად შეიცვალა სახელმძღვანელოები I-VI კლასებში და დარეგულირდა მათი ფასი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმეების განხორციელებაში ხელს გვიწყობს თანამშრომლობითი ურთიერთობა ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

**საკმაოდ წარმატებული პიროვნება ხართ. წარმატების მოპოვება კი, სულაც არ არის იოლი. გზა რომელიც გამოიარეთ...**

–წარმატება, ისევე როგორც ბევრ სხვა ადამიანს, წინასწარ დაგეგმილი არ მქონია. თუ შენი საქმე ძალიან გიყვარს და გაქვს რწმენა, რომ შეძლებ და ამისთვის ყველაფერს გააკეთებ რაღაცას აუცილებლად მიაღწევ. არ მიყვარს წარმატებებით ტკბობა, მით უმეტეს, ჩემი წარმატება ძალიან მოკრძალებულია, მაგრამ თვითონ მიზნის მიღწევის პროცესი არის ძალიან სასიამოვნო. მე ხშირად ვიმოწმებ გ. რჩეულიშვილის შესანიშნავ სიტყვებს: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

**ჩატარდა მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების კიდევ ერთი ეტაპი, თქვენმა მასწავლებლებმა ყოველივე ამას თავი როგორ გაართვეს?**

–მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებში ჩემი სკოლის მასწავლებლების დიდი ნაწილი მონაწილეობდა და შედეგიც გვაქვს. სკოლას ჰყავს სამი სერთიფიცირებული მასწავლებელი. ერთ ნაწილს თითო გამოცდა აქვს ჩაბარებული და დიდი იმედი მაქვს მომავალ წელს უფრო მეტი სერთიფიცირებული მასწავლებელი გვეყოლება.

**კულუარებში გაიჟღერა, რომ მასწავლებელთა კონტიგენტი უნდა შემცირდეს, რა კრიტერიუმით მოხდება სამსახურიდან მათი დათხოვნა?**

–მასწავლებელთა შემცირება არ არის თვითმიზანი და თუ მაინც რამე ცვლილებები ხდება ამ კუთხით ეს გამოწვეულია ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში შესული ცვლილებებით. მასწავლებელთა დათხოვნისას გათვალისწინებული კრიტერიუმები იქნება პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია.

**ქალბატონო ნანა, სკოლის დირექტორობას, პედაგოგობას და საკრებულოს წევრობას როგორ უთავსებთ ერთმანეთს?**

–ეს მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა და თუ კარგად გააცნობიერებ ამ უზარმაზარ ნდობას, რომელიც გამოხატეს შენ მიმართ, მხოლოდ მაშინ შეძლებ კარგად ამ მისიის შესრულებას. უნდა იცოდე, რომ ეს არის არა „პატივი“ არამედ „პატიჟია“, რომლისაც უნდა გეშინოდეს.

**ქალისათვის ცოტა არ იყოს მეტად რთულ გრაფიკში გიწევთ მუშაობა, ოჯახისთვის დრო გრჩებათ?**

–თუ კარგად დაგეგმავ ყველაფერს რთულ გრაფიკს თავს გაართმევ, ოჯახისთვისაც მოიცლი, მეგობრებისთვისაც და საქმესაც გააკეთებ. მე ვიცნობ პიროვნებებს, რომლებსაც არა აქვთ რთული გრაფიკი, მაგრამ ოჯახისთვის დრო მაინც არ რჩებათ.

**თქვენ და შვილები?**

–მე ვფიქრობ, ქალის ყველაზე დიდი წარმატება ეს არის შვილების კარგად აღზრდა. მიჭირს ჩემს თავზე ვისაუბრო, თუ როგორი დედა ვარ, მაგრამ ერთი შემიძლია ვთქვა, მთელი ჩემი ცხოვრება ვუძღვენი მათ და ყოველი წუთი შევალიე იმას, რომ აღმეზარდა ისინი ადამიანებად. თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე წარმატებული სფეროა.

**მოსწავლეებთან მკაცრი ხართ?**

–მე არ მჯერა სიმკაცრით და შიშით მიღწეული შედეგების და არ მგონია რომ ეს იყოს ჯანსაღი ურთიერთობა მოსწავლეებთან. მე მაქვს ძალიან მარტივი რეცეპტი ამისთვის. ეს არის სიყვარული. მე ჩემი თითოეული მოსწავლე მიყვარს. თუ ურთიერთობა არა გაქვს მოგვარებული მოსწავლესთან და მას შენი ეშინია ან არ სჯერა ის ვერ იქნება მზად მიიღოს შენგან გადაცემული ცოდნა. თან სწავლების პროცესი არ არის მხოლოდ რაღაც დოზით ცოდნის დაგროვება, არამედ ეს არის ადამიანის სულის ფორმირების, საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარი ადგილის განსაზღვრის პროცესი. დ. გურამიშვილი გვმოძღვრავს „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

კლასში შესვლიდან რამდენიმე წუთში უკვე ვიცი ვინ რა განწყობით ზის გაკვეთილზე ან ვის რა პრობლემა აქვს და ვცდილობ დავეხმარო მათ.

**ადგილი სადაც საკუთარ თავთან მარტო რჩებით...**

–მიუხედავად დატვირთული რეჟიმისა, ყველა ადამიანი დღის მონაკვეთში მარტო რჩება. ეს აუცილებელია ადამიანისთვის, რომ ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს. ამ განმარტოების ჟამს ვაფასებ ჩემს ნამოქმედარს. (ძალიან ხშირად თვითკრიტიკული ვარ) ვგეგმავ რა უნდა გავაკეთო უახლოეს პერიოდში, მაგრამ არასდროს მივდივარ შორს ფიქრით, ისევ რეალობას ვუბრუნდები. ვცდილობ დიდხანს არ დავრჩე მარტო ჩემს ფიქრებთან. (ამ დროს ძალიან მშველის წიგნების კითხვა)

**...და ბოლოს როგორი უნდა იყოს პრესა და ჩვენს გაზეთზე რას გვეტყოდით?**

–პრესა უნდა იყოს მიუკერძოებელი, საინტერესო, მართალი, საზოგადოების ყველა ფენისთვის გათვლილი და აუცილებლად უნდა იცავდეს ქართული ენის დადგენილ ნორმებს. თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი და გულშემატკივარი ვარ და მას წარმატებებს ვუსურვებ.

***ნინო გერგაია***

## გილოცავთ

ახალი სასწავლო წელი ბედნიერად იწყება ხობის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობისთვის. მისალოცია ის წარმატებები, რომლებსაც მათ მიაღწიეს. შეიძლება თამამად ითქვას, ეს უკვე ტრადიციად იქცა. ყოველ წელს გვახარებდა ჩვენი მოსწავლეების საგამოცდო შედეგები, როგორც სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

შეუძლებელია იმ სიხარულის დაფარვა, რასაც განვიცდით ჩვენი სკოლის მოსწავლეთა წარმატებების გამო. ოთხი მედალოსანი (სამი ოქრო და ერთი ვერცხლი): თათია კვირტია, ლევან სიჭინავა, მარიკა ჯანჯღავა და გოგა ლატარია მაღალი ქულით ჩაირიცხნენ ივანე ჯავახიშვილისა და სახელმწოფო სამედიცინო უნივერსიტეტებში. ყველაფერი ეს შედეგია იმ მონდომებისა და სიბეჯითის, რასაც ისინი ავლენდნენ წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, საამაყოა სკოლის კურსდამთავრებულთა 50%-ის ჩარიცხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. ესენი არიან: სალომე მანიაშვილი–რესპუბლიკური ოლიმპიადის გამარჯვებული ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ნესტან პაპავა, რიტა გოგოხია, ნათია შონია, მერი ლომაია, გულად ქანთარია, გოგიტა ჩაჩუა, ზურაბ კანკავა, ელენე ჭოჭუა, რიმა კანკია. ამაოდ არ ჩაუვლია ამ ამაგს, რაც მათთვის ამ ხნის განმავლობაში მათმა პედაგოგებმა გასწიეს. ყველას სახელით ვულოცავ თითოეულს ამ წარმატებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს სწავლაში, ახლ–ახალ მიღწევებს თავიანთი ოჯახების, ქვეყნის, პედაგოგებისა და ყველას გულგასახარად.

ჩვენო კურსდამთავრებულებო! ყველა თქვენთაგანსა და თანატოლს, კიდევ ერთხელ გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. ბედნიერი იყოს თქვენი ახალი გზის დასაწყისი.

***ზაირა ცხადაია,***
*ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.*



**დაიწყო ახალგაზრდების საშემოდგომო გაწვევა, რამდენი ახალწვეული გვყავს, რა შემთხვევაში თავისუფლდებიან ისინი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, თუ რა ძირითად შემოწმებას გადის წვევამდელი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი და ძირითადად რა სახის პრობლემებს აწყდება გამწვევი კომისია, ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ გვესაუბრება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი ბატონი ზაზა კუპრეიშვილი:**

# დაიწყო საშემოდგომო გაწვევა

***ბატონო ზაზა, საშემოდგომო გაწვევა დაიწყო, რამდენი ახალწვეული გყავთ?***

–საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 4 აგვისტოს № 428-ე ბრძანებულების საფუძველზე, საშემოდგომო გაწვევა ხორციელდება მიმდინარე წლის 10 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე. ხობის მუნიციპალიტეტის გასაწვევთა რაოდენობა შედგენს 75 წვევამდელს.

***გამოძახების შემთხვევაში რამდენ ხანში უნდა გამოცხადდეს წვევამდელი შეკრებ-გამანაწილებელ პუნქტში? გამოუცხადებლობის შემთხვევაში რა სახის სასჯელია?***

–გამოძახების შემთხვევაში წვევამდელი ვალდებულია გამოცხადდეს გამწვევ პუნქტში უწყების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევ კომისიაზე გამოუცხადებლობა სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან თავის არიდების მიზნით, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ჯარიმის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში სასჯელი დიდდება ადმინისტრაციული პატიმრობის 30 დღის ვადით.

***როგორია სამხედრო სამსახურის ვადა და ხომ არ არის მოსალოდნელი მისი გაზრდა?***

–სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 12 თვეს. ვადის გაზრდა უახლოეს მომავალში არ არის დაგეგმილი.

***სხვადასხვა უწყებებში გადანაწილებისას თუ ითვალისწინებენ წვევამდელთა სურვილს?***

–წვევამდელის სხვადასხვა უწყებაში ჩარიცხვა გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში არსებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ხდება.

***ახალგაწვეულებს რა რეჟიმში უწევთ სამსახური?***

–რაც შეეხება ახალწვეულებსა და სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდს, ამაზე პასუხისმგებლობას იღებს თავდაცვისა და შსს სამინისტროები, სადაც საუკეთესო პირობებში უწევთ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა.

***ძირითადად რა პრობლემებს აწყდებით მუშაობის პროცესში და რა ცვლილებები იგეგმება?***

–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში მუშაობა მიმდინარეობს საუკეთესო პირობებში, რაც შეეხება ცვლილებებს, უახლოეს პერიოდში არაა მოსალოდნელი.

***რა სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას გადის წვევამდელი?***

–წვევამდელი თბილისის ცენტრალურ–მუდმივმოქმედ სამხედრო–სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე გადის შემოწმებას. ასევე ხდება სისხლისა და შარდის ანალიზების გამოკვლევები. ჩამონათვალთაგან ერთ-ერთმა ექიმ–სპეციალისტმა წვევამდელი თუ მიიჩნია უმნიშვნელო შეზღუდვით, მაშინ წვევამდელი ექვემდებარება სამხედრო სამსახურის გავლას. შესაბამისად სამხედო სამსახურიდან გათავისუფლება ავადმყოფობის სიმძიმის მიხედვით ხდება.

***გაურკვევლობა შეიქმნა წვევამდელებთან დაკავშირებით, სრულიად თავისუფლდება თუ არა პირი ჯარიდან თუ ის დედისერთაა?***

–საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის „მ“ პუნქტის შესაბამისად, წვევამდელი სამხედრო სამსახურიდან, როგორც დედისერთა თავისუფლდება.

***რა თანხას შეადგენს გადავადების მოსაკრებელი?***

–სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი გაწვევას დაქვემდებარებული პირისთვის 18 თვით 2000 ლარს შეადგენს.

***რას ურჩევთ ახალგაზრდებს?***

–ვურჩევდი, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა გაწვევას დაქვემდებარებული პირისთვის წარმოადგენს აუცილებლობას, ვინაიდან სამშობლოსთვის სამსახური თითოეული ჩვენთაგანისთვის ღირსებას და უდიდეს პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

***ესაუბრა ნანა კემულარია.***

# ანაკლია-განმუხური XXI საუკუნის ქართული რეალობა



ანაკლია-განმუხური-ამ სოფლების ისტორია წლებით დაწერილა და საუკუნეებად შევსებულა. ზოგჯერ წინმავალია წლები, ზოგჯერ, „უკუღმა ტრიალებს იგი“ შვილწარტაცებული დედისმოთქმით სახელდებული ანაკლიაც უკუღმამბრუნავი ჟამის ანარეკლია, გვერდით გან- მუხური, თითქოს მუხასავით მძლედ იდგნენ გვერდიგვერდ მეზობელი თემი და სოფელი. ამ მრავალჯერ „ნარკია“ ადგილის ტკივილიც ლაზურისფერმა ზღვამ დაითმინა. სამეგრელო-სამურზაყანო-აფხაზეთის მიჯნასთან ტალღის ერთი ნაწილი აფხაზეთის ნაპირს ესალბუნება, მეორე სამეგრელოსას, ის ტალღა საქართველოსია და ორად გაკვეთილი.

ცეცხლითა და მახვილით, სისხლით შემოჭრილა უშქარი მტერი, მტრად ქცეული სახლიკაცი. ძნელია დათმენა, მაგრამ წლების წინანდელი ამბები მხოლოდ ფრაგმეტები კი არა – მეხსიერებაში ღრმად შეჭრილი ფაქტებია, რეალობის ამსახველი.

2008-ში ისევ ცეცხლში გაეხვია ანაკლია და განმუხური. აქ ხობელი რამაზ კიტია დაიღუპა და მისი სისხლიც არ იყო ერთადერთი. 2008-ში პატრიოტთა ბანაკები გადაწვეს. ეს გამოუცხადებელი ომის ქრონოლოგიაა.

მახსენდება, გასულ წელს ჩვენი სტუმრობა ანაკლიაში. აქ, ანაკლიელმა მასპინძელმა, თენგო თიკანაძემ, სამშობლოსა და ქვეყნის პრეზიდენტის სადღეგრძელო წარმოთქვა. ოჯახის უფროსმა იმდენად გულში ჩამწვდომად ისაუბრა, რომ დღემდე მომყვება ეს ემოცია: „**ყველაფერი განგების ძალით ხდება, ამბობდა ის, რამდენიმე წლის წინ, როცა აქ შიშით ვცხოვრობდით, ხან რუსები წამოგვესეოდნენ, ხან აფხაზები და არც გონებადაბინდული მოძმეები არ გვაკლებდნენ ხელს, ყოველი კატარღის გამოჩენა საფრთხილო და საშიში იყო. იმ დღესაც შევნიშნეთ კატარღა გაჩერებულიყო ზღვაზე და ვხედავდით რომ დახმარებას ითხოვდენენ, ჩვენებმა ცოტა ხანში სტუმრები მოიყვანეს. ბევრი ვისაუბრეთ საზღვრისპირა სოფლების რთულ ყოველდღიურობაზე. სტუმრებმა ისეთი სითბო შემოიტანეს, რომ უიმედო სოფელში მომავლის იმედი დატოვეს. სტუმართაგან გამორჩეული საქართველოს პრეზიდენტი გახდა, და თითოეული სიტყვა, რაც თქვა არც ერთი არ დარჩენილა მხოლოდ სიტყვად... შეხედეთ რა ხდება. 2008-ში ისევ გვეგონა, რომ აქ შენება შეწყდებოდა. ამხელა გამყოფი კედელიც „აგვიშენეს“, მაგრამ, ანაკლია ისევ ხარაჩოებშია.**

მას მერე მხოლოდ ერთი წელი გავიდა და 2008 წლის ნაცეცხლარ ადგილებზე, ფეშენებლური პატრიოტთა ბანაკი აშენდა. პატრიოტთა ბანაკიდან დაბრუნებისას ბავშვების ემოცია ძლიერ ჰგავდა ჩემი ანაკლიელი მასპინძლის ემოციას, „**ჩვენ პატრიოტები ვართ–ეს უკვე ჩვენი სულიერი მდგომარეობაა და მასში ჩემი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია, რომელმაც ანაკლიაში გააერთიანა საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა ქვეყნის თანატოლები. იმისათვის, რომ აღვწერო ანაკლიის ათდღიანი ბანაკური ცხოვრება, ჩვენ უნდა ვისაუბროთ არა დღეებზე, რომელიც იქ გავატარეთ, არამედ საათებზე და ზოგჯერ წუთებზედაც, იმდენად საინტერესო იყო ყველაფერი. ზოგჯერ ზღვის სანაპიროზე გასულები, შევცქეროდით ჰორიზონტს, იქ ჩვენთვის უცნობი და ძალიან ნაცნობი აფხაზეთია.. სომეხი და აზერბაიჯანელი თანატოლები გვეკითხებოდნენ, როგორ დაიბრუნებთ აფხაზეთს. „ისინი თვითონ დაბრუნდებიან. აი, თქვენებიც ხომ იბრძვიან ყარაბაღში, მაგრამ ანაკლიაში ერთად ხართ. ანაკლია შერიგების ადგილია. იმდენად დიდი სიყვარულის ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ლიდერი სამირა ისმაილოვა ქართულად ყვებოდა საქართველოზე. და ამბობდა, რომ საქართველო მეგობრობისა და სიყვარულის ქვეყანაა ამ ბანაკმა ჩვენს უცხოელ თანატოლებს საქართველო დაანახა და შეაყვარა, ჩვენ კი მოგვცა საშუალება-გვეამაყა ჩვენი ქვეყნით და შეგვეძინა ძალიან ბევრი მეგობარი, რომლებთანაც ურთიერთობა ისევ საქართველოს გამოადგება. ძალიან მინდა აფხაზებმა თანატოლებმა ნახონ ანაკლია-განმუხური და ზუსტად ვიცი, ისინი არასოდეს იომებენ ჩვენთან. ჩვენ ვაგრძნობინებთ მათ, რომ საქართველო და აფხაზეთი ერთი სამშობლოს ორი სახელია და არა ორი სხვადასხვა ქვეყანა.“**

მერე გავიდა მხოლოდ ერთი თვე და ვღებულობთ მოსაწვევს „**გიწვევთ ანაკლიის ქალაქად გამოცხადებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“**

ფენიქსივით ისევ იმძლავრა ნებამ და აქ ულამაზეს სანაპიროზე, თანამედროვე ინფრასტრუქტურის, სასტუმროების, პატრიოტთა ბანაკის, ამ ორი სოფლის დამაკავშირებელი ულამაზესი საფეხმავლო ხიდის ფონზე მდგარ ღია ამფითეატრში- საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები გაისმის.

**სამეგრელო-ეს უძველესი ევროპაა, რომელმაც დაანახა მსოფლიოს, რომ საქართველოს დაკნინება შეუძლებელია!** ეს ხმა ესმის იქ „კედლის მეორე მხარეს“. და მგონია, რომ კედელი ირღვევა, რადგან ამ კედელს გამოღმა–თავის წარკვეთილი ნაწილის შემომთლიანებას–ამღერებული, მშენებარე, რწმენითა და მოლოდინით სავსე, საქართველო ელოდება,საქართველო ელოდება სამეგრელოდან, რომ ისევ შემოსძახონ „მორდუს“, ძველაფხაზური სიყვარულით.

ასე რომ ანაკლიის ისტორია თავიდან იწერება–აქ უკვე აღარ ისმის ანას კივილი, მხოლოდ სახელი შერჩა, როგორც მოგონება უმძიმეს დროთა.

ქართული ხმები ავსებენ ჰაერს, უამრავი უცხოელი დააბიჯებს ზღვისპირა ბულვარში და თავი მირაჟში მგონია. ასე დაიბადა ახალი ქალაქი, ასე იქმნება ახალი ისტორია,შენების ისტორია.

ეს შესძლო ქვეყანამ, ეს შესძლო საქართველომ. აღმაშენებელმა ფერფლიდან აღადგინა–აოტებული ქვეყანა, ამ შენებაში ის არ ყოფილა მარტოსული, ის იდგა და აშენებდა ქართველ ხალხთან ერთად და მიაგებდა „კეისარს კეისრისას“ შენებაში, ბრძოლასა თუ ღალატში. დღეს მხოლოდ ფიქრებით გავცქერით ზღვით შემორკალულ ჰორიზონტს. სამურზაყანოს მოყვება ოჩამჩირე, გულრიფში, სოხუმი, გუდაუთა, გაგრა, განთიადი და იქ სადაც ფსოუ უერთდება ზღვას მიდიან ფიქრები.

ანაკლიდან ფსოუმდე „მცირე“ და „დიდი“ მანძილია, მაგრამ კედელი დაინგრევა, გაქრება, ანაკლიის ზღვისპირა ბულვარი მთელს სანაპიროზე გაგრძელდება და ჩვენი აფხაზეთი ისევ მოიგონებს უჩვენო წლებს, როგორც ყველაზე მწარე ბედუკუღმართობას, როცა–უსაქართველოდ იცხოვრა აფხაზეთმა და უაფხაზეთოდ გაძლო საქართველომ. ჩემი სამშობლოს პრეზიდენტი დგას ამ ძირძველ მიწაზე და იმდენად მძლავრია მისგან წამოსული ძალა, თითოეულ ჩვენთაგანამდე მოვიდა მართლაც და დაუთრგუნავი რწმენა, რომ საქართველო მხოლოდ ქართულად, ჩვენეულად მთმენია ჭირთა.



ხოლო გამარჯვება- მას სიმღერითა და შენებითაც შეუძლია. იმ დღეს განუმეორებელი იყო ყოველი წუთი, რომელიც ოფიციალურად ასე გამოვხატეთ: ხობის მოსახლეობა, ხელისუფლების წარმომადგენლები, ახალგაზრდობა და ხობელი პატრიოტები. ანაკლიის ქალაქად დაფუძნებასთან დაკავშირებით საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს შეუერთდნენ .

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს სრულიად საქართველოს, ხელისუფლების ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს– XXI საუკუნის ახალი ტურისტული ქალაქის ანაკლიის დაფუძნებას.

***როზეტა შულაია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.***

# საქართველოს პატრიოტულ ბანაკებში

## ანაკლია—სიყვარულისა და მეგობრობის ქალაქი

ყველა ქვეყანაში, კაცობრიობის არსებობისა და განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ახალგაზრდობა სიახლის, ოპტიმიზმისა და ენერგიულობის წყაროა. საქართველომაც თავისი არჩევანი ახალგაზრდებზე გააკეთა. განსაკუთრებულ პრიორიტეტად აქცია ქვეყნის განვითარებაში ახალგაზრდული ძალის ჩართულობა... ახალგაზრდები მოვიდნენ მმართველ თანამდებობებზე, შემოიტანეს ახალი იდეები, ახალი აზრები. მათი მონაწილეობით შეესხა ხორცი რეფორმებს; დაისახა ახალი პროექტები, ახალი პროგრამები, რომლებიც ისევ საქართველოს მომავალის – ახალგაზრდობის წინსვლისა და განვითარებისკენ საუკეთესო ღირებულებების გააქტიურებისა და ამოქმედებისაკენ იქნა მიმართული. სწორედ ასეთი პროგრამა გახლდათ საპრეზიდენტო პროგრამა „პატრიოტი“, რომელიც სხვა ღირებულებებთან ერთად მამულის სიყვარულს, ინტელექტუალურ მონაცემთა აუცილებლობას, მეგობრობას, ერთგულებასა და ჯანმრთელი ცხოვრების წესით ცხოვრებას ასწავლის მოზარდ-ახალგაზრდობას, ასეთი ახალგაზრდების ბანაკები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაიმართა, მაგრამ სულ სხვაა ბანაკი „ანაკლია“-ზღვისპირზე წამოჭიმული ციხე-გალავნის ტიპის თანამედროვე ნაგებობათა კომპლექსი, თავისი გასართობი მოედნებითა და საცურაო აუზით... უკვე მე-2 წელია ეს ახალგაზრდული საერთაშორისო ბანაკი ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უცხოელებსაც იღებს. სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლები – სწავლობენ ერთმანეთის ისტორიულ წარსულს, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს და უფრო დიდი სიყვარულით უფრთხილდებიან საკუთარს... ერთმანეთში დანახულმა უდიდესმა სამყარომ საკუთარის, მშობლიურისადმი მოწიწების გრძნობა გაუმძაფრა მათ. ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკის თანამედროვე სტანდარტებით აშენებული ინფრასტრუქტურული ერთეულები გახდა ის საწყისი მშენებლობათა ციკლისა, რომელმაც ანაკლიის ახალშენის გახსნამდე მიგვიყვანა. არ შეიძლება არ შევეხო ამ შესანიშნავ და მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ყველა დროში და ყოველი მმართველობის ჟამს ახალდასახლებათა, ახალ სოფელთა და ახალ ქალაქთა მშენებლობები ქვეყნის ძლიერებისა და განვითარების მძლავრი ნაბიჯებია და ისტორიულ სტრიქონებს ჭედავს. ჩემი შეხედულებებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ აქვს სხვადასხვა სახის პრობლემები, ანაკლიის მშენებლობის საკითხი არის იმ სტრატეგიული გეგმის ხორცშესხმის დასაწყისი, საიდანაც შესაძლებელია დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური გარდატეხების დაწყება, არა მარტო რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც და ამას დრო აჩვენებს და დაამტკიცებს. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ანაკლიის კულტურულ ღონისძიებებს უამრავი ადამიანი შეუერთდა... გულის გასახარად წამოჭიმულმა ინფრასტრუქტურულმა ერთეულებმა-სასტუმროებმა, ბულვარმა, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილმა ხიდმა, ამფითეატრმა(განმუხურში),სასიამოვნო დასვენების სურვილი აღძრა. ულამაზესმა მხარემ, ზღვის რომანტიულმა მონაბერმა უამრავი სახალისოდ გასავლელი დღეები დაგვიხატა გონებაში... წინ ტურისტული მარშრუტის კიდევ ერთი ლამაზი კერა გვეშლება... ქ. ანაკლიასა და განმუხურს შორის გადებული ხიდი, ეს სიყვარულის ხიდია, რომელიც ქალაქს ქალაქთან შეაერთებს და ხალხთა შორის მეგობრულ კავშირებს შეეხიდება... ახალგაზრდულმა ბანაკმა ანაკლიაში დაამსხვრია მოგონებები „ალნარკიაზე“ და ის სიყვარულისა და მეგობრობის ქალაქად აქცია. ამ სულისკვეთებით იზრდებიან დღეს საქართველოში ახალგაზრდები- უკეთესი მომავლის შექმნის, შენების, სიყვარულისა და მეგობრობის სურვილებით და ამ სურვილს ვერ შეაჩერებს ენგურსგაღმა ჩვენი ქვეყნის არაკეთილისმსურველთაგან სანგრების თხრა... იმედი მაქვს, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი და საინტერესო იქნება და ჩვენი ახალგაზრდები ქალაქ ანაკლიის ტერიტორიაზე მდებარე პატრიოტულ ბანაკში ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებული საქმეებით მეტად დაიმუხტებიან იმისათვის, რომ თვითონაც მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საკითხებში.

***ნანა ბუკია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი.***

## „წესი ასეა— წარმავალი წავიდეს მარემ, და სიჭაბუკე, მომავალი, მით გაიხარებს“

დროს ასე სჩვევია მართლაც... აწმყო შობილი წარსულისგან, არის მშობელი... დღეს XXI საუკუნეა. ახლა ჩვენი დროა... მიხარია, რომ მეც ვაშენებ მომავალს თქვენთან ერთად. მახარებს იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ კარგია ცხოვრება ახლის ძიებით. განათლების ხანაა... ინტერნეტში საჭირო მასალის მოძიება კიდევ ერთი ახალი უნარია, რომელიც პრაქტიკულად შეუზღუდავი რესურსებით გვამდიდრებს. ჩვენი დრო- მართლაც განათლების ხანაა, ალბათ ამიტომაცაა თანამედროვე სკოლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა—აღზარდოს პიროვნება, რომელიც ჰუმანური, მოქალაქეობრივი და ტოლერანტული იდეების მატარებელი და ქვეყნის ერთგული იქნება, ფაქტი ხომ სახეზეა, ჩვენს მუნიციპალიტეტში, რამდენია ასეთი ახალგაზრდა... მიხარია, რომ მეც მათ რიგებში ვარ და ამ ჩემში დარგულ და აღმოცენებულ წარმატებებს მე ვახარებ, არ მეყოფა არც ერთი სიტყვა, რომ საკადრისი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ჩემს მიღწევებში ოდნავი წვლილი მაინც შეიტანა. განსაკუთრებით მსურს ქედი მოვიდრიკო ჩემი სკოლის, - თორსის საჯარო სკოლის დირექტორის—ბატონი არჩილ ჭავჭანიძის ხსოვნის წინაშე, რომლის წყალობითაც ჩავები ჩვენს მუნიციპალიტეტში ამოქმედებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებში. ყველაფრის გვირგვინი youtH baNk–ია, რომელიც მაძლევს საშუალებას, ჩემს სოფელში რაღაც ჩემი დავტოვო და მონაწილეობა მივიღო აქ არსებული პრობლემების გადაჭრაში.

არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ეს ყოველივე, სწორედ ჩვენი მუნიციპალიტეტის თანამედროვეობის ფერხულში ჩაბმულობის მაგალითია... რამდენი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ჩვენთან, როგორ ამაყად მივდივათ წინ. განსაკუთრებული მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ გვეხმარება იმ დიდი მწვერვალის დალაშქვრაში, მუნიციპალიტეტში წარმატებისკენ მივყავართ. მე ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ –„ეს ჩვენ მოვდივართ XXI საუკუნიდან!“

**თიკო აბშილავა**

## „პატრიოტმა" ბევრი რამ მასწავლა

ალბათ ყველა მოზარდს აქვს სურვილი მოხვდეს ანაკლიის პატრიოტულ ბანაკში. სადაც გავატარე ათი დაუვიწყარი დღე. ბანაკში მისვლისთანავე თვალში მომხვდა არქიტექტურული სტილი და ფერების ძალიან კარგი შეხამება. ერთ წამში იქაურობამ მომხიბლა. გავიარე რეგისტრაცია, რის შემდეგადაც მოვხვდი მეათე რაზმში. ჩემი ლიდერები იყვნენ ლენა ქოჩიაშვილი და ნიკა ფურცელაძე, საოცრად თბილი, ყურადღებიანი და მეგობრული ადამიანები. რაზმში ვიყავით 17 ბავშვი საქართველოს ყველა კუთხიდან. მათ შორის იყვნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები: ერთი სომეხი და სამი აზერბაიჯანელი.

ჩვენთვის პირველი ორი დღე დაძაბული იყო არა იმიტომ, რომ გარკვეულწილად შეგუების მომენტი იყო, როგორც ბავშვებთან ასევე გარემოსთან, არამედ იმიტომ, რომ გვაცნობეს სასიამოვნო ახალი ამბავი—საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლის შესახებ ანაკლიის პატრიოტულ ბანაკში. ძალიან გამიხარდა და ემოციურად დავიტვირთე, რადგან რეალურად მეძლეოდა საშუალება იმისა, რომ ჩემი თვალით მეხილა საქართველოს პრეზიდენტი—საზოგადოების უმრავლესობის რჩეული. მთელი ბანაკი გავერთიანდით ერთი მიზნისთვის—შესაფერისად დავხვედროდით საქართველოს პრეზიდენტს! მოვამზადეთ ქართული ხალხური ცეკვები, სიმღერები, ლექსები; ჩვენთან ერთად ემზადებოდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებიც.

საღამოს 9 საათი იქნებოდა, როდესაც ბანაკს თავზე გადაუფრინა საქართველოს პრეზიდენტის ვერტმფრენმა. პატრიოტებმა ამ დროს ზღვის სანაპიროსთან დავანთეთ კოცონი და ამით ერთგვარი სითბო და პატივისცემა გამოვხატეთ ჩვენი პრეზიდენტის მიმართ... ჩვენ ყველანი კოცონს ირგვლივ შემოვუსხედით და მთელი ყურადღება გადავიტანეთ მთავარი სტუმრისკენ. იმ წამს ვიყავი ამაყი, რადგან თვალებში ვუყურებდი პრეზიდენტს და მის წინ ვიჯექი სიხარულით აღსავსე. ბატონ მიხეილთან ერთად გვესტუმრნენ ეკონომიკის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრები—ქალბატონი ვერა ქობალია და ბატონი ლადო ვარძელაშვილი, რომლებმაც ყველას მადლობა გადაგვიხადეს ასეთი გულთბილი დახვედრისათვის.

ძალიან გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ ზღვის პირას დამხვდა ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთი და აუზი. სპორტის ამ სახეობებში ჩატარდა ოლიმპიადები, რამაც ხელი შეუწყო ერთმანეთთან დაახლოებას და ურთიერთოებების ჩამოყალიბებას. მე სურვილი გამიჩნდა მიმეღო მონაწილეობა მაგიდის ჩოგბურთის ოლიმპიადაში, სადაც მოვიგე ოთხი თამაში და დამაჯილდოვეს ოქროს მედლით, არ მოველოდი ასეთ გამარჯვებას.

ეთნიკური უმცირესობის ბავშვებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ძალიან დამეხმარა ქართულის გაკვეთილები, რომლებსაც ჩვენს მეგობრებს მასწავლებლები ყოველ დღე უტარებდნენ, ამიტომაც ენობრივი ბარიერი თანდათან გაქრა და უფრო ადვილად შევედით ერთმანეთთან კონტაქტში, დავუმეგობრდით ერთმანეთს.

ჩვენი ბანაკის დევიზი იყო ტოლერანტობა, ამის გასაცნობიერებლად ჩვენთან მოვიდა „იმედის გმირების“ ჟურნალისტი გოდერძი შარაშია, რომელმაც წარმოგვიდგინა ორი თემა-ერთი აზერბაიჯანელი ადამიანის შესახებ, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუს ოკუპანტებს გზა გადაუკეტა და არ შემოუშვა ისინი საქართველოს ტერიტორიაზე. მეორე კი სომეხი ადამიანის შესახებ, რომელიც ქართულს ასწავლიდა ქართველებს ერთ-ერთ სკოლაში და ზოგიერთ ჩვენთაგანზე უკეთესადაც კი საუბრობდა ქართულად. ჩემი აზრით, ორივე ისტორია არის გმირობის ტოლფასი, რომელსაც ჩადიან სხვა ქვეყნის წარმომადგენლები უცხო ქვეყანაში. ამასთან ერთად ბოლოს წინა დღეს ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ჩაგვიტარა ტრენინგი გენდერულ თანასწორობასთან და სქესთან დაკავშირებით, სადაც იყო წამახალისებელი პრიზები, ერთ-ერთი (საცურაო კამერა) აქტიურობისათვის მეც გადმომცეს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო გასართობი და ინტელექტუალური თამაშები, რომლებიც ისევ და ისევ ჩვენს დაახლოებას უწყობდა ხელს.

ბანაკმა—„პატრიოტმა“ მე ბევრი რამ მასწავლა და მომცა კიდევაც. ავიმაღლე ინტელექტი, შევიძინე ძალიან ბევრი, როგორც ქართველი, ასევე აზერბაიჯანელი და სომეხი მეგობარი და დრო სასიამოვნოდ გავატარე.

თქვენი გაზეთის საშუალებით, ჩემი და ჩვენი მეგობრების სახელით, მინდა მადლობა მოვახსენო, ყველა იმ ადამიანს, თანამდებობის პირს, ვინც ხელი შეუწყო ჩვენს თვითრეალიზაციას და ამ პროგრამაში ჩვენს ჩართულობას.

**თამარ გაბისონია**



## სითბო და ყურადღება გვაჩუქეს

ბანაკური ცხოვრების ყოველმა დღემ ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! აქ ყოველი დღე სულ სხვაგვარად თენდებოდა და ღამდებოდა. სწორედ ამ პატრიოტულ ბანაკში ვისწავლე ბევრი რამ—ჯგუფში მუშაობა, ახლად გაცნობილ მეგობრებთან ურთიერთობის დამყარება, საკუთარი და სხვისი ტრადიციების გაფრთხილება. დღეები საინტერესოდ იფურცლებოდა... მრავალფეროვანი სიახლეებითა და შეხვედრებით ინტელექტუალური თუ სპორტული თამაშებით დატვირთულები მეგობრობის ხელებს ვუწვდიდით ერთმანეთს ბანაკ „პატრიოტის“ ახალგაზრდები. ამ ყველაფერში და ყოველი დღის გახალისებაში, განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ ჩვენს ლიდერებს, რომლებიც მაქსიმალურად სასიკეთოდ გახსნილი და მეგობრული განწყობილებებით გვიყალიბებდნენ ბანაკური ცხოვრებისთვის აუცილებელ თვისებებს. განსაკუთრებულად აღსანიშნავი იყო ის, რომ სტუმრად გვყავდა ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნება, როგორიცაა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი—ბატონი მიხეილ სააკაშვილი—ახალგაზრდების ქომაგი და მხარდამჭერი. ასევე გვსტუმრობდნენ მინისტრები: ვერა ქობალია და ლადო ვარძელაშვილი, რომლებმაც განსაკუთრებული სითბო და ყურადღება გვაჩუქეს.

აღსანიშნავია ის, რომ ყოველ დღე ვატარებდით ეგრეთწოდებულ „group time“,სადაც განვიხილავდით ყოველ ჩავლილ დღეს, რომ მეორე დღისთვის შეგვეცვალა ის, რისი შეცვლაც შესაძლებელი იყო.

ამ ათი დღის განმავლობაში მართალია ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალი მეგობრების შეძენა. ძალიან დიდი სურვილი მაქვს რომ წავიდე ისევ პატრიოტთა ბანაკში, რათა გავიღრმავო ის მცნება, რასაც პატრიოტი და ქვეყნისათვის ერთგული ადამიანი ჰქვია.

***მონიკა გოგოლიშვილი***



# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N48

## 2011 წლის 29 აგვისტო
## ქ. ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**1.„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, შეტანილ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებული შემდეგი გადანაწილებები:**

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 6 ივლისის N222 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 0,5 ათასი ლარით მცირდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნება (ინვენტარის შეძენის ხარჯები) და შესაბამისად, 0,5 ათასი ლარით იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „ოფისის ხარჯების“ ასიგნება (სასტამბო ხარჯები);

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 ივლისის N230 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 2,2 ათასი ლარით მცირდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნება (პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები) და შესაბამისად, 1,2 ათასი ლარით იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „ოფისის ხარჯების“ ასიგნება, 0,5 ათასი ლარით იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ასიგნება და 0,5 ათასი ლარით იზრდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნება;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 ივლისის N231 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 0,2 ათასი ლარით მცირდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ასიგნება (გაწვევის საექიმო კომისიის ხარჯები) და შესაბამისად, 0,2 ათასი ლარით იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „ოფისის ხარჯების“ ასიგნება (შენობის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი);

დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 27 ივლისის N262 ბრძანებით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის N1402 განკარგულებით გამოყოფილი 80,3 ათასი ლარის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გაიზარდა შემოსავლები გრანტებიდან 80,3 ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა - 80,3 ათასი ლარი მიიმართა „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯების“ ასიგნებაზე შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

დ.ა) 50,2 ათასი ლარი - „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ ასიგნებაზე (მათ შორის: 6,3 ათასი ლარი - სოფელ ნოჯიხევის ნაფოშტუს უბანში მილხიდის მოსაწყობად; 8,2 ათასი ლარი - სოფელ პირველი მაისის სალომაიოს უბანში ხიდ-ბოგირის მოსაწყობად; 20,0 ათასი ლარი - სოფელ პირველ მაისში ბონდის ხიდის აღსადგენად (ნაპირგამაგრებით); 15,7 ათასი ლარი - სოფელ ხამისკურის საკუკავოს უბანში მილხიდის მოსაწყობად);

დ.ბ) 10,8 ათასი ლარი - „სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯების“ ასიგნებაზე (მათ შორის: 5,0 ათასი ლარი - სოფელ პირველი მაისის საკვიკვინიოს უბანში ნაპირგამაგრების სამუშაოებისთვის; 1,3 ათასი ლარი - სოფელ პატარა ფოთის N4 უბანში, საჭოჭუოს საზღვართან, დამბის ამაღლების სამუშაოებისთვის; 1,5 ათასი ლარი - სოფელ პატარა ფოთში 2 დაზიანებულ უბანზე დამბის ამაღლების სამუშაოებზე (შესაბამისად, 0,75 ათასი ლარის და 0,75 ათასი ლარის ოდენობით); 3,0 ათასი ლარი - სოფელ პატარა ფოთის N4 უბანში დაზიანებული დამბის აღდგენის სამუშაოებისთვის);

დ.გ) 19,3 ათასი ლარი - „საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების“ ასიგნებაზე (მათ შორის: 12,0 ათასი ლარი - ქ. ხობში თაყაიშვილის ქუჩიდან სპორტის ქუჩის გადაკვეთაზე არხის მოწყობა მილხიდის ჩალაგებით; 2,3 ათასი ლარი - ქ. ხობში ცოტნე დადიანისა და სტალინის ქუჩებს შორის მონაკვეთზე არხის ამოწმენდა, 5,0 ათასი ლარი - სოფელ ნოჯიხევში პროფესიული სწავლების ცენტრის ტერიტორიაზე არხის ამოწმენდა).

**2. შემცირდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში:**

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ასიგნება - 1,8 ათასი ლარით (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ასიგნებებში „შრომის ანაზღაურების“ ხარჯები (სოფელ პატარა ფოთში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ასიგნება));

ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ასიგნებები - 56,0 ათასი ლარით, მათ შორის:

ბ.ა) „საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების“ ასიგნება - 33,5 ათასი ლარით (ქ. ხობში, აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის I ეტაპის სამუშაოები);

ბ.ბ) კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯების ასიგნება - 22,5 ათასი ლარით (ქ. ხობის ახალი სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების დაფინანსება, SPA110018924 ტენდერზე მოღებული ეკონომიის ხარჯზე).

**3. დადგენილების მე-2 პუნქტის შედეგად გამოთავისუფლებული თანხების მთლიანი მოცულობა - 57.8 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:**

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯებზე - 5,3 ათასი ლარი (მათ შორის: 3.8 ათასი ლარი - „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ასიგნებაზე (სოფელ შავღელეში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს „შრომის ანაზღაურების“ ხარჯები); 1,5 ათასი ლარი - „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „ოფისის ხარჯების“ ასიგნებაზე (სოფელ შავღელეს ტერიტორიული ორგანოს „ოფისის ხარჯები“);

ბ) „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ ასიგნებებზე - 40.5 ათასი ლარი, მათ შორის:

ბ.ა) „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ ასიგნებაზე - 1,1 ათასი ლარი (სოფელ შავღელეს სოფლის სახელწოდების აღმნიშვნელი 3 ცალი ტრაფარეტის დასამზადებლად);

ბ.ბ) „გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯების“ ასიგნებაზე - 2,7 ათასი ლარი (ქ. ხობში, მიხეილ იოსავას სახელობის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების დაფინანსება);

ბ.გ) „საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების“ ასიგნებაზე - 36,7 ათასი ლარი (მათ შორის: 1,8 ათასი ლარი - ქ. ხობში კოსტავასა და წერეთლის ქუჩებზე გარე კანალიზაციის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება; 1,4 ათასი ლარი - ქ. ხობში აღმაშენებლის ქუჩიდან კოლხეთის დასახლებამდე სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოებისთვის გამოყოფილი ასიგნებების დამატება; 33,5 ათასი ლარი - დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, წერეთლის ქუჩიდან დავით აღმაშენებლის I ჩიხამდე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება);

გ) საგანმანათლებო ღონისძიებების ხარჯების ასიგნებაზე - 12.0 ათასი ლარი (საჯარო სკოლების ასიგნებებში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნებაზე).

**4. ამ დადგენილების პირველი-მე-3 პუნქტებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის N19 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 11.01.2011 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:**

**ა) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად N1 დანართისა:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 7060,1 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები 5180,9 ათასი ლარი; გრანტები - 1482,9 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 396,3 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 4851,4 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება - 1164,1 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება - 995,2 ათასი ლარი; პროცენტი 85,0 ათასი ლარი; სუბსიდიები - 2301,0 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 306,1 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო - 2208,7 ათასი ლარით;

დ) არაფინასური აქტივების ცვლილება - 2469,2 ათასი ლარით;

ე) მთლიანი სალდო - -260,5 ათასი ლარით;

ვ) ფინასური აქტივების ცვლილება - -301,8 ათასი ლარით;

**ბ) დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად N2 დანართისა. მათ შორის:

ა) შემოსულობები - 7160,1 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები - 7060,1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 100,0 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები - 7461,9 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები - 4851,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 2569,2 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 41,3 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება - -301,8 ათასი ლარით;

**გ) დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N5 დანართისა. მათ შორის:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1736,0 ათასი ლარით;

ბ) თავდაცვა - 92,7 ათასი ლარით;

გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 315,6 ათასი ლარით;

დ) ეკონომიკური საქმიანობა - 1329,1 ათასი ლარით;

ე) გარემოს დაცვა - 832,6 ათასი ლარით;

ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა - 623,1 ათასი ლარით;

ზ) ჯანმრთელობის დაცვა - 129,8 ათასი ლარით;

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია - 912,5 ათასი ლარით;

ი) განათლება - 1184,4 ათასი ლარით;

კ) სოციალური დაცვა - 306,1 ათასი ლარით;

>>>>>>>>>> 7

დოკუმენტი

6 <<<<<<<<<<

დ) დადგენილების დანართი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 1“

**ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი**

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2010 წლის გეგმა | 2011 წლის გეგმა |
|---|---|---|
| *შემოსავლები* | *8 108,1* | *7 060,1* |
| გადასახადები | 6 192,0 | 5 180,9 |
| გრანტები | 1 549,5 | 1 482,9 |
| სხვა შემოსავლები | 366,6 | 396,3 |
| **ხარჯები** | **4 789,4** | **4 851,4** |
| შრომის ანაზღაურება | 1 233,1 | 1 164,1 |
| საქონელი და მომსახურება | 764,6 | 995,2 |
| პროცენტი | 65,1 | 85,0 |
| სუბსიდიები | 2 473,0 | 2 301,0 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 253,6 | 306,1 |
| სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| *საოპერაციო სალდო* | *3 318,7* | *2 208,7* |
| *არაფინანსური აქტივების ცვლილება* | *3 245,4* | *2 469,2* |
| ზრდა | 3 895,4 | 2 569,2 |
| კლება | 650,0 | 100,0 |
| მთლიანი სალდო | 73,3 | -260,5 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 6,3 | -301,8 |
| ზრდა | 24,4 | 76,2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 24,4 | 76,2 |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| კლება | 18,1 | 378,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 18,1 | 378,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 |
| *საოპერაციო სალდო* | *3 318,7* | *2 208,7* |
| *ზრდა* | *0,0* | *0,0* |
| საგარეო | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| კლება | 10,8 | 41,3 |
| საგარეო | | |
| საშინაო | 10,8 | 41,3 |
| *ბალანსი* | *56,2* | *0,0* |

ე) დადგენილების დანართი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 2“

**ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2010 წლის გეგმა | 2011 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **შემოსულობები** | **8 758,1** | **7 160,1** |
| შემოსავლები | 8 108,1 | 7 060,1 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 650,0 | 100,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| **გადასახდელები** | **8 695,6** | **7 461,9** |
| ხარჯები | 4 789,4 | 4 851,4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 895,4 | 2 569,2 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 10,8 | 41,3 |
| **ნაშთის ცვლილება** | **62,5** | **-301,8** |

ვ) დადგენილების დანართი 3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 3“

**ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები**

| შემოსულობების კოდები | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2010 წლის გეგმა | 2011 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| | **შემოსულობები** | **8 758,1** | **7 160,1** |
| | შემოსავლები | 8 108,1 | 7 060,1 |
| | არაფინანსური აქტივების კლება | 650,0 | 100,0 |
| | ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | **შემოსავლები** | **8 108,1** | **7 060,1** |
| 11 | გადასახადები | 6 192,0 | 5 180,9 |
| 11111 | საშემოსავლო გადასახადი | | |
| 11311 | ქონების გადასახადი | 6 192,0 | 5 180,9 |
| 113111 | საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 4 630,0 | 3 060,0 |
| 113112 | უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 113113 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2,0 | |
| 113114 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 100,0 | 80,0 |
| 113115 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1 460,0 | 2 040,9 |
| 1136 | სხვა გადასახადები ქონებაზე | | |
| 116 | სხვა გადასახადები | | |
| 13 | გრანტები | 1 549,5 | 1 482,9 |
| 131 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | |
| 132 | უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები | | |
| 133 | სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 1 549,5 | 1 482,9 |
| | გათანაბრებითი ტრანსფერი | | |
| | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 166,0 | 180,0 |
| | სპეციალური ტრანსფერი | 1 383,5 | 1 302,9 |
| | მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 724,9 | 722,6 |
| | მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 658,6 | 580,3 |
| 14 | სხვა შემოსავლები | 366,6 | 396,3 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | 85,0 | 86,0 |
| 1411 | პროცენტები | | |
| | დივიდენდები | | |
| | რენტა | 85,0 | 86,0 |
| 14151 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 80,0 | 80,0 |
| 14153 | მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე | | |
| 14154 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი,ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 5,0 | 6,0 |
| 14159 | სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | | |
| 142 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 112,0 | 167,6 |
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 25,0 | 36,9 |
| 14222 | საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებელი | 5,0 | 5,0 |
| 14227 | სახელმწიფო ბაჟი | | |
| 14229 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | |
| 142210 | სატენდერო მოსაკრებელი | 2,0 | |
| 142212 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | |
| 142213 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | | |
| 142215 | კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | | |
| 142216 | ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | | |
| 142214 | ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 18,0 | 31,9 |
| 142299 | სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | | |
| 1423 | არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 87,0 | 130,7 |
| 14231 | შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | | |
| 14232 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 87,0 | 130,7 |
| 143 | ჯარიმები,სანქციები და საურავები | 169,6 | 140,0 |
| 144 | ნებაყოფლობითი ტრანსფერები,გრანტების გარეშე | | |
| 145 | შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | | 2,7 |
| 31 | არაფინანსური აქტივების კლება | 650,0 | 100,0 |
| 311 | ძირითადი აქტივები | 80,0 | |
| 314 | არაწარმოებული აქტივები | 570,0 | 100,0 |
| | მიწა | 570,0 | 100,0 |
| | სხვა ბუნებრივი აქტივები | | |
| 32 | ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 |
| | სესხები | | |
| | აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | საგარეო | | |
| | საშინაო | | |

>>>>>>>>>> 8

7 <<<<<<<<<<

ზ) დადგენილების დანართი 4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 4“

ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების საბიუჯეტო კლასიფიკაცია

| ფუნქციონალური კოდი | ორგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2010 წლის გეგმა | 2011 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| | *სულ* | ***ხობის მუნიციპალიტეტი*** | ***8 695,6*** | ***7 461,9*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 191,0 | 203,0 |
| | | ხარჯები | 4 789,4 | 4 851,4 |
| | | შრომის ანაზღაურება | 1 233,1 | 1 164,1 |
| | | საქონელი და მომსახურება | 764,6 | 995,2 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 40,0 |
| | | მივლინებები | 8,0 | 11,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 165,2 | 254,1 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 12,0 | 12,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,1 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 10,0 | 20,5 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 136,4 | 202,2 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 433,0 | 454,8 |
| | | პროცენტი | 65,1 | 85,0 |
| | | სუბსიდიები | 2 473,0 | 2 301,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 253,6 | 306,1 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 895,4 | 2 569,2 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 10,8 | 41,3 |
| | *01 00* | ***ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები*** | ***1 569,5*** | ***1 736,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 148,0 | 160,0 |
| | | ხარჯები | 1 469,7 | 1 631,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | 1 015,4 | 946,4 |
| | | საქონელი და მომსახურება | 389,2 | 599,6 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 29,1 |
| | | მივლინებები | 6,0 | 8,6 |
| | | ოფისის ხარჯები | 125,0 | 205,4 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 12,0 | 12,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,1 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 77,9 | 135,7 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 168,3 | 208,7 |
| | | პროცენტი | 65,1 | 85,0 |
| | | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 89,0 | 63,7 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 10,8 | 41,3 |
| | *01 01* | ***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო*** | ***315,2*** | ***352,6*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 20,0 | 27,0 |
| 70111 | | ხარჯები | 307,8 | 337,9 |
| | | შრომის ანაზღაურება | 207,4 | 212,2 |
| | | საქონელი და მომსახურება | 100,4 | 125,7 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 0,8 | 1,2 |
| | | ოფისის ხარჯები | 33,5 | 54,7 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 37,7 | 58,4 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 28,4 | 11,4 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 70111 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7,4 | 14,7 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | *01 02* | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა*** | ***1 138,1*** | ***1 153,7*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 128,0 | 133,0 |
| 70111 | | ხარჯები | 1 056,5 | 1 104,7 |
| | | შრომის ანაზღაურება | 808,0 | 734,2 |
| | | საქონელი და მომსახურება | 248,5 | 370,5 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 29,1 |
| | | მივლინებები | 5,2 | 7,4 |
| | | ოფისის ხარჯები | 91,5 | 150,7 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,1 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 40,2 | 77,3 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 111,6 | 105,9 |
| | | პროცენტი | 0,0 | 0,0 |
| | | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| 70111 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 81,6 | 49,0 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 |
| | *01 02 01* | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური*** | ***435,9*** | ***458,5*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 24,0 | 25,0 |
| | | ხარჯები | 375,0 | 427,7 |
| | | შრომის ანაზღაურება | 194,5 | 177,5 |
| | | საქონელი და მომსახურება | 180,5 | 250,2 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 13,6 |
| | | მივლინებები | 1,5 | 2,4 |
| | | ოფისის ხარჯები | 49,8 | 79,1 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | 0,1 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 31,3 | 49,6 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 97,9 | 105,4 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 60,9 | 30,8 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | *01 02 02* | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური*** | ***72,0*** | ***78,2*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 9,0 | 10,0 |
| | | ხარჯები | 70,4 | 69,4 |
| | | შრომის ანაზღაურება | 63,3 | 59,9 |
| | | საქონელი და მომსახურება | 7,1 | 9,5 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,5 | 1,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 5,6 | 7,5 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 0,5 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,6 | 8,8 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

>>>>>>>>>> 9

დოკუმენტი

8 <<<<<<<<<<

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 02 03 | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური*** | ***120,6*** | ***93,5*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 14,0 | 10,0 |
| | | ხარჯები | 112,6 | 89,6 |
| | | შრომის ანაზღაურება | 90,6 | 58,2 |
| | | საქონელი და მომსახურება | 22,0 | 31,4 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 8,5 |
| | | მივლინებები | 1,5 | 1,8 |
| | | ოფისის ხარჯები | 3,8 | 8,1 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 8,2 | 13,0 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 8,5 | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8,0 | 3,9 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 01 02 04 | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური*** | ***0,0*** | ***34,7*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 5,0 |
| | | ხარჯები | 0,0 | 33,2 |
| | | შრომის ანაზღაურება | | 30,2 |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 3,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | 0,5 |
| | | ოფისის ხარჯები | | 2,5 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 1,5 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 02 05 | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების,სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური*** | ***46,0*** | ***48,2*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 6,0 | 7,0 |
| | | ხარჯები | 46,0 | 46,2 |
| | | შრომის ანაზღაურება | 44,0 | 42,1 |
| | | საქონელი და მომსახურება | 2,0 | 4,1 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 0,5 | 0,6 |
| | | ოფისის ხარჯები | 1,5 | 3,5 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 2,0 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 01 02 07 | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური*** | ***40,4*** | ***36,8*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 5,0 | 5,0 |
| | | ხარჯები | 39,8 | 34,8 |
| | | შრომის ანაზღაურება | 37,8 | 31,6 |
| | | საქონელი და მომსახურება | 2,0 | 3,2 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 0,2 | 0,6 |
| | | ოფისის ხარჯები | 1,8 | 2,6 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,6 | 2,0 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 02 12 | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები*** | ***423,2*** | ***403,8*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 70,0 | 71,0 |
| | | ხარჯები | 412,7 | 403,8 |
| | | შრომის ანაზღაურება | 377,8 | 334,7 |
| | | საქონელი და მომსახურება | 34,9 | 69,1 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 7,0 |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | 29,0 | 47,4 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 0,7 | 14,7 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 5,2 | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,5 | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 03 | ***სარეზერვო ფონდი*** | ***28,3*** | ***89,4*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 70112 | | ხარჯები | 28,3 | 89,4 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 28,3 | 89,4 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 28,3 | 89,4 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 70112 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

>>>>>>>>>> 10

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 05 | ***მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯები*** | ***12,0*** | ***12,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7018 | | ხარჯები | 12,0 | 12,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 12,0 | 12,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 12,0 | 12,0 |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7018 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 06 | ***საბანკო მომსახურების ხარჯები*** | ***0,0*** | ***2,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 70112 | | ხარჯები | 0,0 | 2,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 2,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 2,0 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 70112 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 01 07 | ***წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა*** | ***75,9*** | ***126,3*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7016 | | ხარჯები | 65,1 | 85,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | 65,1 | 85,0 |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | 10,8 | 41,3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 02 00 | ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური*** | ***231,0*** | ***252,6*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 35,0 | 35,0 |
| 7032 | | ხარჯები | 221,0 | 240,6 |
| | | შრომის ანაზღაურება | 172,5 | 172,5 |
| | | საქონელი და მომსახურება | 48,5 | 68,1 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 3,6 |
| | | მივლინებები | 0,5 | 0,9 |
| | | ოფისის ხარჯები | 4,9 | 6,8 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 10,0 | 20,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 21,2 | 28,8 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 11,9 | 8,0 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7032 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,0 | 12,0 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 03 00 | ***შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება*** | ***114,9*** | ***63,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7031 | | ხარჯები | 47,8 | 58,8 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 47,8 | 58,8 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | 23,7 | 34,0 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | 0,5 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 24,1 | 24,3 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7031 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 67,1 | 4,2 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 04 00 | ***თავდაცვის ღონისძიებები*** | ***87,5*** | ***92,7*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8,0 | 8,0 |
| | | ხარჯები | 86,2 | 90,9 |
| | | შრომის ანაზღაურება | 45,2 | 45,2 |
| | | საქონელი და მომსახურება | 41,0 | 45,7 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 7,3 |
| | | მივლინებები | 1,5 | 2,0 |
| | | ოფისის ხარჯები | 9,4 | 7,9 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 13,2 | 13,4 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 16,9 | 15,1 |
| | | პროცენტი | 0,0 | 0,0 |
| | | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,3 | 1,8 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 |

# ხობის მოამბე

## საფესტივალო ჩანართი

## საქართველო, კოლხეთი, ხობი...

...კოლხეთი. ზღვიდანვე რომ კავკასიონის მთების ვერცხლისფერ დიადემას ხედავთ, იცოდეთ, რომ იქ ბერძენი პრომეთე, ანუ ქართველი ამირანი ცეცხლის დედამიწაზე ჩამოტანისათვის ეწამება და თავისუფლებას ელის. მისი გმინვის ექო კი კოლხურ სიმღერებს შემორჩენიათ თითქოს.

აქ, კოლხეთის სანახებში შემოსული არგო, ბერძნული ცივილიზაციის გადარჩენისთვის შემოვიდა, რამეთუ „ოქროს საწმისი“ იყო სიმბოლო იმ საოცრებებისა, რომლითაც მძლავრობდა ოქროს ქვეყანა.

ბრძენი კოლხი გრძნობდა–არგო ბედისწერა იყო და ამ ბედისწერას ვერ გადალახავდა თავად მზის შვილი...

კოლხეთის დიდება–მითიურ ბურუსში გაეხვია. ხოლო მედეამ შვილებდაკარგულმა, ნაღალატევმა მედეამ, მაშინ როცა მზის ღმერთის ჰელიოსის ეტლით გაექცა „გეას“- დედამიწას და ცას შეუერთდა, მაგრამ მანამ, უკანასკნელად გადმოხედა კოლხეთს, მოუახლოვდა და კოლხეთის ნისლიან ველზე სევდიანად მომღერალი მოხუცის ხმამ გული მოუწურა, კიდევ ცოტაც და მთის კალთებზე პატარა მწყემსი ბიჭის წკრიალა ხმა ჩაესმა, მერე ისევ დაეძაბა სმენა და მის სმენას ველზე გასული კოლხი ჭაბუკების ომახიანი მოძახილი მისწვდა და მერე აკვანთან დახრილი დედის „კოლხურმა ნანამ“ შესძრა, ცრემლები დაედინა მედეას–წამოიმართა ეტლიდან და შესძახა სამყაროს „ეჰეი, კოლხეთიდან მხოლოდ საწმისი წაიღეთ- მხოლოდ სიმდიდრე ხორციელი, სული კი აქ დარჩა, სანამ ეს სიმღერები იქნება შენ იქნები და განევრცობი, არ დაილევი ჩემო ქვეყანავ და ეს სიმღერები დაგიბრუნებს დაკარგულ დიდებას!

მას მერე ბედისწერით, მზის ნიმბით და სიწმინდით სავსე- უფლის რწმენა დამკვიდრდა კოლხეთს, კოლხურ-აფხაზური, კოლხურ–ლაზური, კოლხურ-ამერული და იმერული შეერთდა, შენივთდა, შეესისხლხორცა და ერთიან საქართველოდ შეიკრა, სიმღერებად იშვა, გალობებით დაილოცა.

## გოდერძი ბუკია: „იდეა ჩემმა კუთხემ მომცა“



უფლის მადლით მეგრულმა სიმღერამ საუკუნეებს გაუძლო, ოღონდ ძალიან დიდ ხანს ელოდა შემკრებს ამ სიმღერებისას. მეგრული ფანდური, ჩონგური, სალამური, ინახავდა მას... აკვნიდანვე ბულბული ჯდებოდა კოლხურ აკვნებზე და მღეროდა მზისა და ღვთის სადიდებელს. ალბათ, უფლის ნება, მედეს მითაჟამინდელი ლოცვა დაეშვა და კოლხეთის საუკეთესო შვილებს ესალბუნა. ერთი საუკუნით ადრე, 2003 წლამდე, ამ დროსაც კავკასიონიდან ძალუმად ისმოდა ამირანის გმინვა, უჭირდა საქართველოს და ყველაზე მეტად უჭირდა ქართულ სიმღერასაც.

უნდა გავაცოცხლოთ–ამ იდუმალი ფიქრით შეუდგა კოლხეთის გულში დაბადებული და აღზრდილი კაცი–საუკუნის საქმეს.

მირიადივით შემოიარეს ძუკუ ლოლუამ და მისმა მოწაფეებმა სრულიად საქართველო. გავიდა საუკუნე მთელი, ისტორიისთვის წამი, მაგრამ სიმღერისათვის ჟამი გამოცდისა. მერე ისევ მოვიდა სიმღერის გადამრჩენთა სახელების შემკრები და გადარჩენილი სიმღერის კვლავ გადამრჩენი.

***„ეს იდეა ჩემმა ოჯახმა, ჩემმა კუთხემ მომცა. ადგილმა, სადაც მთელი ბავშვობა უტკბილესი მეგრული ჰანგები მესმოდა.***

***მეგრული მელოდია საოცარი ფენომენის მატარებელია. ვერასოდეს ივიწყებ. ამ ფესტივალმა თავისი უპირველესი მისია შეასრულა. ქართული ფოლკლორი გასცდა ჩვენი სამშობლოს სამანებს.“***

## საერთო სახალხო პროექტი



2003 წელს ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ მიერ დაფუძნდა და სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვითისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით უკვე მეხუთედ ტარდება.

ხობის ფესტივალს საქართველოს პრეზიდენტის მუდმივი ყურადღება და სტუმრობა ახლავს თან. პრეზიდენტი ტრადიციულად გამოეხმაურა მე-5 ფესტივალს.

**„მეგრული კულტურა მრავალფეროვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი საინტერესო და მომხიბლავი ნაწილია, ამოუწურავი მისი თაყვანისმცემლისა თუ შემსწავლელისათვის, ამიტომაც მეგრული სიმღერის ფესტივალს, რომელიც უკვე მეხუთედ იმართება, წლიდან წლამდე საყოველთაო ინტერესი არ აკლდება, მეტიც, ის საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ჩინებული მაგალითია. ფესტივალი ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს აქტიურად ეხმაურება და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერების საქმეში.**

**გულითადად მივესალმები და წარმატებას ვუსურვებ ფესტივალს, სამეგრელოს მოსახლეობას. ფესტივალის სტუმრებსა და მის ორგანიზატორებს. კიდევ ერთხელ გამოვხატავ მადლიერებას იმ დამსახურებისათვის, რომელიც თითოეულ თქვენგანს მიუძღვის ქართული კულტურის განვითარებაში“.**

***მიხეილ სააკაშვილი,***
***საქართველოს პრეზიდენტი .***

***ხობის საერთაშორისო ფესტივალი საერთო სახალხო პროექტია, რაზედაც მისი მასშტაბები, მონაწილეთა რაოდენობა და მუნიციპალიტეტის და მხარის მოსახლეობის განსაკუთრებული აქტივობა მეტყველებს.***

## ხობი: ცვლილებები ფესტივალიდან ფესტივალამდე



***2011 წლის ხობი. ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ჩვენი ერთობის, ღირსეული სტუმრების ღირსეული მასპინძლობის საბაბი და საპატიო საფუძველია.***

***უკვე მეხუთედ გიწვევთ ხობში, რომელიც თქვენს მოლოდინშია და თავადაც სამასპინძლოდ მოემზადა.***

***იგორ ტყებუჩავა–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი***

ხობს, როგორც ფესტივალის ქალაქს უკვე საზღვარგარეთის ფესტივალებზე იწვევენ.

ხალხური სიმღერის მუზეუმიკი სტუმართა ინტერესის სფეროშია.

მუზეუმში აღზრდილი ბავშვები- ზედიზედ აღწევენ წარმატებებს სხვადასხვა პრესტიჟულ კონკურსებსა თუ ფესტივალებზე.





ხობის მოსახლეობა და მრევლი მონაწილეობს 21 საუკუნის ახალი სალოცავის ღვთისმშობლის ხარების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში.

მიმდინარეობს ისტორიული და კულტურული ძეგლების რესტავრაცია.

ახალი აღმოჩენები არქეოლოგიაში, წარმატებები კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში. ახალი ურთიერთობები, ინფრასტრუქტურის განვითარება, სიახლეები სოფლის მეურნეობაში.



ხობის მოსახლეობა, რომელიც პრეზიდენტის, საქართველოს ხელისუფლებისა და რეგიონის ხელმძღვანელობის უდიდეს მხარდაჭერას გრძნობს, რომელსაც მართლაც გამორჩეული რჩეული ჰყავს გოდერძი ბუკიას სახით, ესათუთება ეროვნულ საუნჯეს, საკუთარ ფესვებს და



ქმნის ხობის მომავალს.

საქართველოში ჟამი ნგრევისა წარსულს ჩაბარდა. საქართველოში შენების დროა.

ფესტივალი სიმღერით მოგიყვებათ საქართველოზე, ხობი კი თავად გიჩვენებთ რა შეიცვალა წინა ფესტივალიდან- მეხუთე ფესტივალამდე.

# ფესტივალი, ტრადიცია და გადარჩენილი მეგრული სიმღერა

**ბევრი ვიფიქრეთ როგორ მოგვეყოლა ყველასთვის ამბავი გადარჩენილი მეგრული სიმღერისა.**

**და ყველაზე კარგად ეს ამ წერილებმა შეძლეს. წერილებმა რომელიც ერთი ლამაზი ქართული ოჯახიდან იწყება, მერე ოდაბადე უერთდება, უხუცესი თუ უმცროსი თავის ემოციასა და გრძნობებს დებს, და ამ წერილებში ჩანს სტუმარიც და მასპინძელიც, მეზობელი და მოყვარე და არც ერთი მტერი, რადგან სიმღერა ყოველგვარ მტრობას ფესვშივე ისე ნამავს, რომ სასიკეთო ნერგად აქცევს. ეს ნამი სიკეთისა ამ მზისფერ ფიქრებში ჩანს, რომელსაც ერთი მისამართი აქვს, ხობი-ფესტივალი.**





ჩემო საყვარელო ძამიკო, ის რაც შენ ჩაიფიქრე, იმდენად დიდი საქმეა, მეშინია კიდეც, რომ წარმოვიდგენ, ამასთან შეჭიდებას რამოდენა ძალისხმევა უნდა. მაგრამ მე ვიცი რამდენად გიყვარს თითოეული ბგერა ჩვენებური სიმღერების. ახლა მახსენდება ის ერთხმად შეწყობილი ჩვენი ბავშვობის ტკბილმეგრული „ნანა“, მე, შენ და გოგი, რომ ვმღეროდით და ისიც ვიცი რასაც ჩაიფიქრებ ეს ღვთის ნებაა... და მისი ასრულებაც ღვთის ნებით მოხდა.

**რუსუდან ბუკია.**

ჩემო შვილო, როცა შემეხმიანე, რეზო მასწავლებელო, ხობის საერთაშორისო ფესტივალს უნდა ჩავუყაროთ საფუძველი და შენებურად მყარი არგუმენტით დაიწყე საუბარი, აგერ ამდენი წელია ამ განცდით მოვდივარ. მე რვეულ-რვეულ, ნოტებად ვინახავდი სიმღერებს, იმ პერიოდში ისეთი გაუხეშებული სული ჰქონდა შიდა არეულობით, სამოქალაქო ომით დაღლილ ქვეყანის ახალ თაობას, შიში შემეპარა, აწი ვინ იმღერებს მეთქი მეგრულ სიმღერებს, ისე შემოიჭრა უცხო ჰანგები დავითრგუნე კაცი. შენ ამით არა მხოლოდ მე გადამარჩინე შენი ბავშვობა დამიყენე თვალწინ, რომელმაც უკვე დიდობაში ახალი სული შთაბერე ქართულ სიმღერას.

**რეზო თოდუა.**



გეხარით სქუალეფი–ხობში, ამდენი სტუმარი რომ ჩამოგყავთ. წინა ფესტივალზე, მთელი სოფელი რომ დაიძრა, ფესტივლზე მივდივართო, წამოვედი მეც. სად მიდიხარო, ამიჯუჯღუნდა შვილი, იმდენი ხალხია, დაიღლებიო. უყურე ტელევიზორში უფრო კარგად და მოსვენებულად ნახავო. ბიჭო, იმდენი ხალხი რომაა, მაგით კი არ დავიღლები, შვილო, გავიხარებ, რომ ჩვენი სიმღერის სამღერლად და მოსასმენად დუნია ჩამოსულა ხობში და ხობის სახელს გაიძახიან ყველგან. მაშინ შენ დაჯექი ტელევიზორთან და მეც დამინახავ მაგდენ ხალხში, რას მიშლი, იქნება სოტკილავა მინდა ვნახო, „სისა ტურა“ მინდა მოვისმინო პირდაპირ და უტელევიზოროდ მეთქი. მაშინ წავედი და წამოვალ ახლაც. ვისაა რომ მაჩერებთ, ამ ხნისა ვარ, მაგრამ ცხენზე ვჯდები და მარულაშიც ბევრს ჩამოვიტოვებ უკან.

**კუკური გერგაია, ნოჯიხევი.**

სოფელში ჩემი ხნისა არავინ დარჩა. ეზოში უძველესი ქვევრია ჩამარხული, ოხვამური იყო იგი ჩემი საგვარეულოსი.ამ ოხვამურთან ლოცვას ამბობდნენ და მერე მეგრული სიმღერები, ჩონგურზე სიმღერები, რა ვიცი, რამდენი რამე მაქვს მოსაგონარი, აქ ვისმენდი ძველ ამბებს. დედა ბოჯგუას ქალი იყო, ტკბილი ხმა ჰქონდა მასაც. მე და პანტე დედის მხრით ბიძაშვილები ვართ. დავბერდი მაგრამ, გული მაინც მიმიწევს, რომ ფესტივალზე წავიდე. ხან ერთი ბავშვი შემოვა, ჯოჯია ბაბუა, რამე ძველი სიმღერა ხომ არ გახსოვს ან ძველი ამბავი, ჩვენს სოფელში ყველაზე კარგად ვინ მღეროდა, მეკითხებიან მეზობლის ბავშვები, მე კი მახსოვს მაგრამ სასიმღერო ხმა არ შემომრჩა. რაც კარგი ხმები იყო, ყველამ პანტეს ვაჩუქეთ მეთქი ვეხუმრები. რად გინდა ბაბუ- მეთქი. ჩვენ ძველი სიმღერები უნდა გადავარჩინოთო-ასე მეუბნებიან. ჯოჯია ბაბუა, რამე ძველი ნივთი არა გაქვს, რომ მუზეუმში წავიღოო. ვერ ვაძლევ, რადგან, 90-იან წლებში ყველაფერი წაიღეს, ერთი სული შემარჩინეს შვილო. მადლობა ღმერთს რომ ის დრო წავიდა. ქოგორლუაფუდათ ბაბასქუა ქუგორლუაფუდათ ამ ბავშვებს რომ ასე ფიქრი დააწყებინეთ,

**ჯოჯია ჭანტურია, 98წლის.**

ძუკუ ლოლუას მშობლიურ სოფელში ყველაზე მეტად გვიხარია. აქ დაბადებულმა კაცმა, რამდენი შეძლო და რამდენი შექმნა.

ამ ფესტივალით ძუკუს სახელი და მისი მოსწავლეების სახელი გადაარჩინა. ქვალონელებს სალაპარაკო და მოსაყოლი მოგვცა, რომ ჩვენს სოფელში დაიბადა კაცი, რომელსაც შეეძლო ქვაც კი აემღერებინა. დრომ დავიწყების ლოდი დაადო თითქოს მის სახელს, მაგრამ ხობის საერთაშორისო ფესტივალმა ლოდი მოისროლა და მკვდრეთით აღადგინა სახელები, სახეები და ხმები.ეს ფესტივალი- ჩვენი სიმღერა ისტორიაა, გაცოცხლებული ისტორია და ამ ისტორიის გაცოცხლებისთვის ქვალონელებს ახლა ბულიწყუ სიყვარულით გვედავება, ვინ მეტად დიდი შვილი გაზარდა.

**თემურ ლოლუა, ქვალონი.**

ჩემთვის როგორც ხობელისა და უბრალოდ გლეხი კაცისათვის ფესტივალმა „სიმღერა სამეგრელოზე“ წარუშლელი კვალი დატოვა. მახსოვს პირველად ხმა რომ გავიგე ჩვენი დეპუტატი გოდერძი ბუკია ფესტივალს ატარებს, სადაც მხოლოდ მეგრული სიმღერები გაჟღერდება და მასშტაბური ხასიათის იქნება, სადაც ცნობილი ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობასო, ცოტა არ იყოს არარეალურად მივიჩნიე, როგორ შევძლებთ ამდენი სტუმრის მასპინძლობას მეთქი.სტუმარს ისეუნდა დახვდე, სიმღერა მოუნდეს შემდეგაც, ერთხელ შეიძლება აამღერო ვინმე, მაგრამ მთავარია, მერე მოვა თუ არა. ჯერ კიდევ ამის ფიქრებში ვიყავი, როდესაც 2003 წელს ფესტივალის პროგრამა ერთ-ერთმა ახლობელმა მომიტანა და მითხრა გადახედე აბა, ვინ ეწვევა ხობსო. თვალზე სიხარულის კურცხალი მომადგა და მთელი გულით დავლოცე ჩვენი გოდერძი. მან ხეთის თეატრონი გააცოცხლა. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, რომ თეატრონიც ისე დაინგრეოდა, როგორც ბევრი რამ დანგრეულა იმ ნგრევის დროს.

ვუყურებდი ხეთის თეატრონზე გამომსვლელებს, რომლებიც ტკბილი ხმით ძველ მეგრულ სიმღერებს მღეროდნენ, სწორედ მაშინ მე უბედნიერესი კაცი ვიყავი. სიამაყის გრძნობას არც ერთი წუთითაც არ მივუტოვებივარ, ვიჯექი და გარინდული ვუსმენდი გამომსვლელებს და ჯერ კიდევ არ მჯეროდა, რომ ჩემს თვალწინ გამოდიოდნენ ისეთი დიდი ადამიანები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ვლოცავდი ამ სამამულიშვილო საქმის წამომწყებსა და ორგანიზატორს.

**გურამ ბუკია**

ფესტივალმა იმდენად დიდი ემოციები მაჩუქა, რომ ყოველწელს მოუთმენლად ველოდები მომდევნო ფესტივალს, რათა კიდევ დავტკბე ამ საოცარი სანახაობით, ხობს ამდენი სტუმარი არასდროს ახსოვს, წელს უკვე მეხუთედ ტარდება ეს ფესტივალი და უკვე მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობს, გოდერძი ბუკიამ მთელ ქვეყანას გააცნო ჩვენი პატარა ხობი. არ შემიძლია არ აღვნიშნო ახლანდელი მთავრობის გაკეთებული საქმეებიც, ჩვენი ქალაქი პატარა სამოთხეს დაემსგავსა, ადგილობრივი ხელისუფლებაც ძალიან გვიდგას გვერდში და გვეხმარება. წინ მიიწევს საქართველო და მასთან ერთად ხობიც, რაც ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის დამსახურებაცაა, მის შარავანდედად სოფელ პირველმაისში მშენებარე ტაძარიც კმარა. ღმერთმა მისცეს ძალა და ენერგია რომ აკეთოს ასეთი კარგი საქმეები, ჩვენ კი მუდამ მის გვერდით ვიქნებით.

**ჯემალ ქადარია.**

ამ ხნის ქალი ვარ და ჯერ ხობი ამდენ სტუმარს მასპინძლობდეს, რამდენიც ფესტივალის დღეებში ჩამოდის ჯერ არ მინახავს. უკვე მეხუთედ ველოდებით სტუმრებსა და ფესტივალს და გვიხარია ასე შორს რომ გაითქვა ჩვენმა ქალაქმა სახელი. ადრე ხობს არავინ იცნობდა, დღეს კი ხობი ფესტივალთან ასოცირდება და ეს ჩვენი დეპუტატის გოდერძი ბუკიას დამსახურებაა, მან იმდენი გააკეთა, რომ ხობი მთელი მსოფლიოსათვის გაეცნო, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

მახსოვს ერთხელ ფესტივალის ფარგლებში ხეთის თეატრონზე იმართებოდა კონცერტი და სტუმრები იყვნენ ჩამოსულები. წყლის





დასალევად შემოვიდნენ ეზოში, მე სახლში შემოვიპატიჟე და მოკრძალებული მეგრული სუფრა გავუშალე, ჩვენი სამზარეულოს კერძების დაგემოვნების შემდეგ ისინი გაოცებულები იყვნენ, როგორი საინტერესო სიმღერები და კიდევ უფრო საინტერესო კერძების დამზადება გცოდნიათ სამეგრელოშიო.

გოდერძი ბუკია მართლაც ქველმოქმედი ადამიანია. თავმდაბალი და საქმის გამკეთებელი... ღმერთმა დალოცოს ეს კარგი ადამიანი.

**ნელი თორია, 74 წლის.**

როცა ჩონგურის თლას ვიწყებ, ყველაფერი მავიწყდება, ერთი სული მაქვს, სანამ ფორმაც მიიღებს



და სიმებს გადავჭიმავ და პირველად ჩამოვკრავ. როცა ხობში ფესტივალია, სახლში ვერ ვჩერდები, აბა, როგორ შეასრულებენ, როგორ დაუკრავენ, მე ჯერ ჩვენების დაკრულს ვუსმენ, შვილო, როცა უცხოელები უკრავენ და მღერიან-განსაკუთრებით მიხარია, მიხარია, რომ ჩემი ჩონგური ისევ სჭირდებათ და მე შემიძლია ხის ერთი უსახური ნაჭრიდან- ჩონგურის შექმნა ვასწავლო ახალგაზრდებს, ბავშვებს. „ასე ჩონგური ქობთქუათუ“–ასე იწყება ერთი მეგრული სიმღერა.

ამ ფესტივალმა სიმღერები კი არა-მეგრულ ჩონგურს დაუბრუნა დასამღერი... მე თავს ხელოსნად კი არა ხელოვანად ვთვლი და ეს „სიმღერამ სამეგრელოზე მასწავლა“. მადლობა ამისათვის.

**ლევან ირემაძე, მეჩონგურე, ძველი ხიბულა.**

უკვე მეხუთედ ველოდებით სტუმრებს სხვადასხვა ქალაქებიდან, დიდი მზადება გვაქვს საფესტივალოდ. ოჯახი განსაკუთრებით ემზადება სტუმრების მისაღებად და ვცდილობთ მათ ყველანაირი პირობები შევუქმნათ, რათა თავი კომფორტულად იგრძნონ. ძალიან ცნობისმოყვარე და საინტერესო სტუმრებს ვმასპინძლობთ ყოველ ფესტივალზე, ისინი განსაკუთრებით მეგრული კერძებითა და აქაური სილამაზით იხიბლებიან, თითოეულ მათგანთან დღესაც გვაქვს ახლო ურთიერთობა, ფესტივალმა უამრავი კარგი ხალხი გაგვაცნო და დაგვაახლოვა. ეს ფესტივალის დამსახურებაა.

**ვერა ქირია.**

მე, შვილო, ყველა კონცერტს ვესწრები, რაც ფესტივალის ფარგლებში ხობში იმართება, მაგრამ განსაკუთრებულად წლევანდელი ფესტივალისათვის მოვემზადე, როგორც გავიგე მეხუთე ფესტივალზე ხობში ფეხბურთის ლეგენდები მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა ჩამოდიან. რამდენის ოცნება ახდება ამ დღეს, რომ ხობში ენახათ და მადლიერება გამოეხატათ ქართული ფეხბურთის ამ უდიდესი ვარსკვლავებისათვის. ფესტივალზე არაფერს ვამბობ, რადგან ეს უკვე ტრადიციაა, რომელსაც დავიწყება არ უწერია...

**ნიკოლოზ ჭითანავა, უხუცესი საორტსმენი.**

# „უნდა აშენდეს ასაგები, ლოცვით, სიმღერით და რწმენით“
## (ამონარიდი ხობელი სტუდენტების წერილიდან)



### შოთა თუთბერიძე

ჩემი აზრით, ფესტივალი არა მარტო ჩვენი ქალაქისთვისაა მნიშვნელოვანი. საერთოდ, 21-ე საუკუნე ფოლკლორული ფესტივალების სიჭარბით არ გამოირჩევა. ამ მხრივ, „სიმღერა სამეგრელოზე“ უნიკალური პროექტია და არა მხოლოდ გასართობი, არამედ უფრო მნიშვნელოვანი, ქართული ტრადიციების შენარჩუნების მისია აკისრია. სხვა მხრიდან თუ შევხედავთ, ფესტივალი პირდაპირ განაპირობებს ჩვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას და კულტურის ამაღლებას. მე, მეგობრები ჩამომყავს ფესტივალზე და, ვიცი, უკმაყოფილოები არ დარჩებიან.

### ნიკა სერგია

ჩვენთვის ფესტივალი ასოცირდება ტრადიციასთან, სიმღერასთან, შენებასთან, ამიტომაც არა მხოლოდ ფესტივალს ვეგებებით, დეკემბრის დასაწყისში ხარების სამონასტრო კომპლექსში ერთად დავლოცავთ ჩვენში შენების სურვილის ჩამნერგავ ძალას.



### ანა მხეიძე

მე და ჩემი თაობა ფესტივალთან ერთად გავიზარდეთ. საქართველოში, მგონია ყველაზე პატარა გიდი ვიყავი, მუზეუმთან არსებული გიმნაზიის მოსწავლე ვხვდებოდი სტუმრებს და როცა მათ აღფრთოვანებულ სახეებს ვხედავდი, მინდოდა მეტი და მეტი მომეყოლა.

გული მწყდება, რომ ასე უცებ გაიფრინეს წლებმა. მე უკვე სტუდენტი ვარ, მაგრამ მეხუთე საიუბილეო ფესტივალზე, ისევ დავდგები მუზეუმში და აქ მოსულ სტუმრებს იმდენ ძველ ამბებს და სიახლებს მოვუყვები, ერთი სული მაქვს, როდის ჩაივლის ეს დღეები, დღეები მზადებისა და ფესტივალის მოლოდინისა.

### ნინო გოთოშია

როცა თურქეთში არხავის საერთა შორისო ფესტივალზე შევასრულე მეგრული სიმღერა საოცარი ემოცია ვიგრძენი. ძალიან ბევრი მეკითხება ხობზე და მათ იციან როგორი დიდი ფესტივალი გვაქვს. ხობი იქ ძალიან ცნობილია, რადგან აქ ბაიარ შაჰინი და სხვადასხვა ქვეყნის ისეთი შემსრულებლებია, რომლებსაც ხობში უმღერიათ და ფესტივალზე მოხვედრა დიდ პატივად მიაჩნიათ.

ჩემთვის კი ხობის ფესტივალი ისეთი მშობლიურია, თან წელს ჩემი ოცნება ახდა, მე იმ სცენაზე ვიმღერებ, სადაც ცნობილი მომღერლები მღერიან მეგრულ სიმღერებს.

### მარიამ ცხომარია

ფესტივალის სამი დღე არის პერიოდი, როდესაც რაიონი ახალ სუნთქვას იწყებს. ტურისტები, სტუმრები და ღონისძიებების სიმრავლე, ახალი სუნთქვაა ქალაქისთვის.თითქოს სულ ფესტივალის მოლოდინში ვართ. წლევანდელი ფესტივალი კი გამორჩეული იმიტომაა, რომ ახალი ტაძრის მშენებლობით უდიდესი მადლი მოდის და ფესტივალის დღეებში, სტუმრებს მოვუყვებით, როგორ შენდება უძველესი ისტორიული ეკლესია-მონასტრების მხარეში–ახალი ტაძარი. კურთხევის მოლოდინი მძაფრდება. მე ხშირად მივდივარ ტაძართან . ერთი სული მაქვს, პირველ წირვას დავესწრო იქ.

### ვახტანგ სერგია

ფესტივალი ჩემი ქალაქის სავიზიტო ბარათია. ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ხობს მხოლოდ „ხობის საერთაშორისო ფესტივალი“-თ იცნობენ. ასე რომ, ხობის ხსენება უკვე ფოლკლორისა და საერთაშორისო ფესტივალის ასოციაციას იწვევს. ზუსტად ისევე, როგორც ბევრი ევროპული ქალაქი იგივდება რომელიმე ღონისძიებასთან. ვფიქრობ, ჩვენ ამ გზას ვადგავართ.

### თამთა თოდუა

წელს „გორდელა“ იმღერებს ხობში. ეს არის ანსამბლი, რომელიც ყველგან არ მღერის და ყველა კონცერტზე არ გამოდის. ის ფაქტი, რომ ისინი თავიანთ 50 წლის იუბილეს ჩვენთან აღნიშნავენ, ფესტივალის პრესტიჟულობაზე მეტყველებს. ამას ემატება ფოლკლორისტთა და მუსიკათმცოდნეთა კონფერენცია ძუკუ ლოლუას სახელობის მუზეუმში. მე მგონია, რომ მალე ხობი რეგიონის კულტურული ცენტრის სტატუსზე განაცხადებს პრეტენზიას.

### სოფო ბაბილუა

„სიმღერა სამეგრელოზე“, მგონია, რომ იმაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ხობისათვის, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ფესტივალის დროს ისეთი ავტორიტეტული და ცნობილი ხელოვანები ჩამოდიან ხოლმე, რომელთა ნახვის შანსიც სხვაგან ძალიან მცირეა. ძალიან მიხარია, რომ ეს ყველაფერი ჩემს ქალაქში ხდება და მოუთმენლად ველოდები ფესტივალის დაწყებას.

# ხობი-არხავი–ფესტივალის ქალაქები



გამარჯობა ფესტივალო! უკვე რამდენიმე დღეში ხობი მიესალმება ფესტივალის მონაწილეებს, სტუმრებს.

ჩვენ ყველანი ამ მოლოდინით ვართ... საინფორმაციო განყოფილებას უკავშირდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან... პრეს-რელიზი და პროგრამები უკვე გაგზავნილია. .

ყველას დაწვრილებით აინტერესებს ვინ ჩამოდის. მათთან საუბარში გვეუფლება გრძნობა, რომ ჩვენ ერთად ვართ ამ ფესტივალის მასპინძლები, სადაც ოჯახის თავი ამ დღეებში ხობია, ხოლო საქართველოს სხვადასხვა კუთხეები-ამ ოჯახის შვილები, რომლებიც ერთად ელიან საპატიო სტუმრებს.



სულ რამდენიმე დღის წინ, როცა არხავის ფესტივალიდან მოწვევა მოვიდა, ესეც დიდი სიხარული იყო, რადგან არხავის ფესტივალის ორგანიზატორებმა ხობი სწორედ იმ ნიშნით აირჩიეს, რომ ხობი ფესტივალის ქალაქია. ამ დღეებში ხობის ფესტივალს, არხავის ფესტივალის მონაწილეები და ორგანიზატორებიც უერთდებიან, რომელთაც ***მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ*** ფესტივალის მოსაწვევთან ერთად შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა.

| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 0,0 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 81,2 | 79,5 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7102 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **08 04** | **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები** | **6,2** | **5,0** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7103 | | ხარჯები | 6,2 | 5,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 6,2 | 5,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7103 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **08 05** | **ავადმყოფთა სოციალური დაცვა** | **62,0** | **0,0** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 71011 | | ხარჯები | 62,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 62,0 | |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 71011 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **08 06** | **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა** | **104,2** | **68,6** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7104 | | ხარჯები | 104,2 | 68,6 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 104,2 | 68,6 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7104 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

>>>>>>>>>> 24

23 <<<<<<<<<<

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | *08 07* | *ერთჯერადი დახმარება* | *0,0* | *65,0* |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7109 | | ხარჯები | 0,0 | 65,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | 65,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7109 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | *08 08* | *ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება* | *0,0* | *88,0* |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7076 | | ხარჯები | 0,0 | 88,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | 88,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7076 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

**თ) დადგენილების დანართი 5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„დანართი 5“**

## ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2010 წლის გეგმა | 2011 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 569,5 | 1 736,0 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 481,6 | 1 597,7 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 453,3 | 1 506,3 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 28,3 | 91,4 |
| 70113 | საგარეო ურთიერთობები | | |
| 7012 | საგარეო ეკონომიკური დახმარება | 0,0 | 0,0 |
| 70121 | ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს | | |
| 70122 | საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება | | |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70131 | საერთო საკადრო მომსახურება | | |
| 70132 | საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება | | |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 7014 | ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები | | |
| 7015 | გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 75,9 | 126,3 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 12,0 | 12,0 |
| 702 | თავდაცვა | 87,5 | 92,7 |
| 7021 | შეიარაღებული ძალები | 87,5 | 92,7 |
| 7022 | სამოქალაქო თავდაცვა | 0,0 | 0,0 |
| 7023 | საგარეო სამხედრო დახმარება | | |
| 7024 | გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში | | |
| 7025 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 345,9 | 315,6 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 114,9 | 63,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 231,0 | 252,6 |
| 7033 | სასამართლოები და პროკურატურა | | |
| 7034 | სასჯელაღსრულების დაწესებულებები | | |
| 7035 | გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1 895,9 | 1 329,1 |
| 7041 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | 0,0 | 0,0 |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | | |
| 70412 | შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 1 038,3 | 605,5 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 1 038,3 | 605,5 |
| 70422 | სატყეო მეურნეობა | | |
| 70423 | მეთევზეობა და მონადირეობა | | |
| 7043 | სათბობი და ენერგეტიკა | 0,0 | 0,0 |
| 70431 | ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი | | |
| 70432 | ნავთობი და ბუნებრივი აირი | | |
| 70433 | ბირთვული საწვავი | | |
| 70434 | სხვა სახის საწვავი | | |
| 70435 | ელექტროენერგეტიკა | | |
| 70436 | არაელექტრული (მზის, ქარის,წყლის) ენერგია | | |
| 7044 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 70441 | მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა | | |
| 70442 | გადამამუშავებელი მრეწველობა | | |
| 70443 | მშენებლობა | | |
| 7045 | ტრანსპორტი | 857,6 | 723,6 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 857,6 | 723,6 |
| 70452 | საზღვაო ტრანსპორტი | | |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | | |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | | |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0,0 |
| 7046 | კავშირგაბმულობა | | |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 |
| 70471 | ვაჭრობა,მარაგების შექმნა,შენახვა და დასაწყობება | | |
| 70472 | სასტუმროები და რესტორნები | | |
| 70473 | ტურიზმი | | |
| 70474 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები | | |
| 7048 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 70481 | გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში | | |
| 70482 | გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში | | |
| 70483 | გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში | | |
| 70484 | გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში | | |
| 70485 | გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში | | |
| 70486 | გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში | | |
| 70487 | გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 705 | გარემოს დაცვა | 428,9 | 832,6 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 313,4 | 455,9 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 115,5 | 376,7 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | | |

>>>>>>>>>> 25

დოკუმენტი

24 <<<<<<<<<<

| | | | |
|---|---|---|---|
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | | |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1 483,5 | 623,1 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 466,8 | 460,2 |
| 7063 | წყალმომარაგება | 492,7 | 129,8 |
| 7064 | გარე განათება | 524,0 | 33,1 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 131,4 | 129,8 |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | | |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | | |
| 70712 | სხვა სამედიცინო პროდუქცია | | |
| 70713 | თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები | | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70722 | სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | | |
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 131,4 | 129,8 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება,კულტურა და რელიგია | 821,4 | 912,5 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 341,4 | 362,0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 421,7 | 494,5 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 39,4 | 40,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 8,4 | 10,0 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების,კულტურისა და რელიგიის სფეროში | 10,5 | 6,0 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | | |
| 709 | განათლება | 1 678,0 | 1 184,4 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1 156,7 | 667,9 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 230,3 | 129,4 |
| 70921 | დაწყებითი ზოგადი განათლება | | |
| 70922 | საბაზო ზოგადი განათლება | | |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | | |
| 7093 | პროფესიული განათლება | | 55,2 |
| 7094 | უმაღლესი განათლება | 0,0 | 0,0 |
| 70941 | უმაღლესი პროფესიული განათლება | | |
| 70942 | უმაღლესი აკადემიური განათლება | | |
| 7095 | უმაღლესისშემდგომი განათლება | | |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | | |
| 7097 | გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში | | |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 291,0 | 331,9 |
| 710 | სოციალური დაცვა | 253,6 | 306,1 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 62,0 | 0,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 62,0 | 0,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | | |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 81,2 | 79,5 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 6,2 | 5,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 104,2 | 221,6 |
| 7105 | უმუშევართა სოციალური დაცვა | | |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები,რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | | |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| | სულ | 8 695,6 | 7 461,9 |

**5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.**

**მამუკა ჭოხონელიძე,**
**საკრებულოს თავმჯდომარე.**

## ნეტავი შვილთა მრავალთა...

# „ოჯახი ციხე-სიმაგრეა, რომელსაც ვერაფერი შეეხება"

მათ, ვისაც ერთი ან ორი შვილი ჰყავთ, ძალიან უკვირთ, თუ როგორ უვლიან მრავალშვილიანი ოჯახები თავიანთ პატარებს, რადგან ბავშვების მოვლა-პატრონობა არც ისე იოლი საქმეა. ბავშვი ოჯახში ვითარდება, იზრდება და საზოგადოების წევრად ყალიბდება. კარგი ოჯახი თავის წევრებთან ერთად წარმოადგენს ერს. ამ პატარა ორგანიზმში, რომელსაც ოჯახი ჰქვია, ყვავილობს და იფურჩქნება ზნეობა, ეტიკეტი, კარგი ქცევა ხომ ოჯახში ყალიბდება. დიახ, სწორედ რომ ოჯახში სწავლობენ უფროსებისადმი პატივისცემას, პატარებისადმი გულისხმიერებას, მეგობრებისადმი გულითად და ჰუმანურ მოპყრობას, ბაბუებისა და ბებიებისადმი კეთილგანწყობას, დედისა და მამის პატივისცემას, თანატოლებთან ჰუმანურ მოქცევას.

ბიაში მცხოვრები ველოდი და მაია ალექსანდრიების მრავალშვილიანი ოჯახი, რომ სწორედ ამ პრინციპებით ზრდიან თავიანთ პატარებს, ცდილობენ, რომ მათმა შვილებმა ცხოვრებაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ. ამ ადამიანებს, მიუხედავად სიდუხჭირისა 5 შვილი–სამი გოგო და 2 ბიჭი ჰყავთ. უფროსი 12 წლისაა, უმცროსი ერთის, ქალბატონი მაია თავს ბედნიერად გრძნობს, რადგან ბედნიერებას სწორედ მრავალშვილიანობაში ხედავს.

***გვიამბეთ, როგორ შეიქმნა თქვენი ოჯახი?***

–მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთი ჩემი ძმის ქორწილში გავიცანით. 18 წლის ვიყავი, ველოდი 27. ერთმანეთი მოგვეწონა და ერთთვიანი შეხვედრების შემდეგ, ოჯახის წევრების თანხმობით დაქორწინება გადავწყვიტეთ. გვყავს 5 შვილი და ვცხოვრობთ ბედნიერად. იმედია, სიკვდილამდე ასე გაგრძელდება.

***ალბათ ძალიან რთულია და საპასუხისმგებლო, იყო მრავალშვილიანი დედა...***

–რა თქმა უნდა, რთულიცაა და საპასუხისმგებლოც, რადგან თითოეული ბავშვის ტკივილს და წუხილს განიცდი. მოვალე ხარ ყველას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციო და დარჩენილი სიცოცხლე მათ დაუთმო, რადგან ამას დედობრივი გრძნობა მოითხოვს. როცა მრავალშვილიანი დედა ხარ მეტი პასუხისმგებლობა გაკისრია, მაგრამ ამავე დროს მე პირადად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მეამაყება, რომ 5 შვილის დედა ვარ...

***შვილების რჩენაში ვინ გეხმარებათ?***

–არავინ. ჩვენ, ჩვენი ძალებით ვცდილობთ შვილებს გასაჭირი არ ვაგრძნობინოთ. ჩემი შვილები ფუფუნებას არ არიან მიჩვეულნი, მაგრამ არც აუცილებელი რამ აკლიათ. დღეისდღეობით ცოტა გვიჭირს, მაგრამ ღვთის იმედი მაქვს, რომ გადმოგვხედავს და ყველაფერი კარგად იქნება.

***რა გრძნობაა, როცა კიდევ ერთხელ ბავშვით ხელში სამშობიარო სახლიდან გამოდიხართ?***

–ეს ენით აუღწერელი გრძნობაა. ხელში გყავთ ის პატარა, რომელსაც ამდენი ხანი სიხარულით, გულისფანცქალით ელოდები. სიხარულით ივსები, როცა იცი, რომ ღმერთმა ის ჯანმრთელი მოავლინა ქვეყანას. მეათე შვილიც რომ იყოს, ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ეს პირველად ხდება შენს ცხოვრებაში...

***კიდევ ხომ არ აპირებთ შვილის ყოლას?***

–წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ არა მგონია. ღმერთს დიდ მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ ხუთი ჯანმრთელი და ლამაზი შვილი მაჩუქა. ღმერთმა გამიზარდოს ისინი.

***თქვენი აზრით რა არის ოჯახი და როგორი უნდა იყოს იგი?***

–ოჯახი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც ცოლქმარს ქორწინების დღიდან ეკისრებათ და ვალდებულნი არიან ეს უღელი ერთად, თანაბრად ატარონ ცხოვრების ბოლომდე. ოჯახმა შვილები ჯანსაღად მოაზროვნეები უნდა აღზარდოს. თუ ბავშვი ოჯახში სათნოებას არის მოკლებული და არ იღებს შესაბამის აღზრდას, საზოგადოებას პრობლემებს შეუქმნის. ზრდილობიანი ადამიანი მხოლოდ ორგანიზებულ და ჯანსაღ ოჯახში იზრდება, ამგვარ ოჯახში აღზრდილი თაობები გაწონასწორებული და საზოგადოებისათვის სასარგებლოები არიან. ოჯახი ციხე-სიმაგრეა, რომელსაც ვერაფერი შეეხება.

***რაზე ოცნებობთ?***

–ჩემი ოცნებაა, შვილებს ბედნიერი მომავალი შევუქმნა. გავზარდო ჭკვიანები, *განათლებულები, რომ ცხოვრების გზის გაკვალვა არ გაუჭირდეთ.*

***როგორ გესახებათ თქვენი შვილების მომავალი?***

–ვფიქრობ, იქნება ძალიან ნათელი, დღეისდღეობით უყვართ სწავლა, წიგნების კითხვა, უფროსების რჩევებს ითვალისწინებენ. ღმერთის იმედი მაქვს, რომ მათ ექნებათ ბედნიერი მომავალი.

***რას უსურვებდით სხვა დედებს?***

–ყველა დედას ვუსურვებ პირველ რიგში ჯანმრთელი შვილების ყოლას, მათ კარგ მომავალს, მათი შვილების ისეთებად აღზრდას, როგორც მათ სურთ. ყველა დედას ვურჩევდი, რომ მრავალშვილიანობას არ შეუშინდნენ, რადგან რაც უფრო მეტი შვილი გყავს, იმდენად მდიდარი და ამაყი ხარ!

***ნანა კემულარია***

## სოფელი

...თვალუწვდენელ მინდორში სულ რამდენიმე მუხა და ერთი დიდი ცაცხვი იდგა. მინდორი მაღლობზე იყო გაშლილი და ერთი მხრივ ჭანისწყალს გადაჰყურებდა, ხოლო მეორე მხრივ მას პატარა ღელე ჩაუდიოდა, ღელეს კალაპოტში თეთრი ქვით იყო მოკირწყლული. მისი პატარა ცალღა აქა-იქ დიდ ქვებსაც აწყდებოდა, რაც საამურ ჩხრიალს იწვევდა, მინდორზე ოდნავ ნიავი ქროდა. დავეხმა მიიხედ-მოიხედა და აღტაცებით წამოიძახა:

—ჰაიც, ნამდვილი „ახიბლ“ ეს ყოფილა! შესძახა აფხაზურად. გიორგი და მაია დააინტერესა ამ სიტყვამ.

—ეს ბატონო, ნიშნავს ოქროს თვალს—უპასუხა დავეხმა.

—მამა ბატონო, ეს მშვენიერი სახელი უნდა დავარქვათ დღეიდან ჩვენს სოფელს, თქვა მაიამ და თან რამდენჯერმე გაიმეორა „ახიბლ“, მის გულს, რაღაც მოეფინა ეს აფხაზური სიტყვა...

*(ფუცუ დგებუაძე-ფულარია—„ოქროს ბეჭედი“).*

# „ახიბლ“–ოქროს თვალი...

***ისტორია***

### ხიბულის „ჯიხა“

ეს ციხე–სიმაგრე სოფელ ძველ ხიბულაში სოფლის ცენტრთან ახლოს, ლამაზ გორაკზე მდინარე ჭანისწყალის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. იგი ხუროთმოძღვრულ კომპლექსს წარმოადგენს. ბატონყმობის დროს, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი სოფელს თავადი დადიანები და მათი შთამომავლები–მაია დადიანი და მისი ვაჟიშვილი განაგებდა.

რაც შეეხება ნაგებობის აღწერას, ასეთია:

ძველი ხიბულის ცენტრიდან, ახლოს დასავლეთის მხარეს არსებობს მაღლობი ადგილი ზღვის დონიდან 2000 კვ. მეტრის სიმაღლეზე, ამ მაღლობზე ფეხით ასვლა მარტო ერთი მხრიდან არის შესაძლებელი (ჩრდილო დასავლეთიდან). მაღლობი დაახლოებით მოიცავს ორ ფართობს. ერთის ფართობი 5000კვ.მეტრი დაახლოებით 2000 კვ. მეტრი ფართობის ოდენობის. ორივეს ფართობი ერთმანეთისაგან გამიჯნული არის მაშინდელი დროის გაშენებული კირქვით, ქვიტკირის საქოსით.

პირველ ფართობზე იმ საუკუნეებში აშენებული არის ციხე კოშკი ამჟამად ზომით 8X8 მ. სიმაღლის 10 კვ. მეტრი. ამ კოშკზე ზევით დაშენებული მოჩანს თვით ნაგებობა კარებისა და ფანჯრების მიშენებით.

მეორე ფართობზე დასავლეთის მხარეს არის ქვიტკირის /ქვის/ ნაგებობის ნანგრევები სხვადასხვა ზომის. ნანგრევებიდან ჩანს კედლებზე მიშენებული თიხის ფრესკების ნამსხვრევები. ამავე ფართობზე აღმოსავლეთის მხარეს დგას ქვის ქვითკირის ნაგებობა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ნაგებობას თანდაყოლილი აქვს სხვადასხვა ზომის თაღები და შესასვლელი ადგილის კუთხეები, მიწის ზედაპირიდან ჩანს თიხის ქვევრი, დაახლოებით 10-15 ფუთი წყლის ტევადობის, ამ მეორე ფართობზე შესასვლელ კუთხეში არსებობს წყლისათვის ჭა. ქვიტკირითა და ქვით ამოშენებული ჭა ხანდაზმულთა გადმოცემით 40 მეტრი სიღრმის ყოფილა.

ხანდაზმულების გადმოცემით დაახლოებით 80–100 წლის შიგნით მათ ახსოვთ, რომ აქ ცხოვრობდნენ თათრები, ყავდათ დიდი რაოდენობის ცხვარი და თხა. აბალახებდნენ ტყეში, დღე და ღამეს ატარებდნენ ამ ციხის შიგნით და ირგვლივ, ასევე ხანდაზმულთა გადმოცემით, ეს ციხესიმაგრე ყოფილა შემნახველ კასად წოდებული. თურმე აქ ინახებოდა ირგვლივ რაიონებში და სოფლებში აშენებული ციხე–სიმაგრეთა ნადავლი და მას იცავდა მაშინდელი დროის მესვეურები.

### სკოლა

ხიბულა ამჟამად არსებული სოფლების ახალი ხიბულისა და ძველი ხიბულის ტერიტორიაზე მდებარეობდა, მას შუაზე ყოფდა მდინარე ჭანისწყალი. ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ხიბულის მამასახლისი ყოფილა. მიმდებარე ტერიტორიაზე სოფლის ეკლესია იდგა.

მასწავლებლისა და ყოფილი დირექტორის ვალერიან ქვარაიას ცნობით 1896 წელს დადიანებს სოფელში კანცელარიის გვერდით დაწყებითი სკოლა გაუხსნიათ, სკოლა სამოთახიან ოდა–სახლში მოთავსებულა, მას ორკლასიან დაწყებით სკოლას ეძახდნენ, ფაქტიურად კი ერთად სწავლობდა პირველი–მესამე, მეორე–მეოთხე კლასების მოსწავლეები. აქ ძირითადად ადგილობრივი მასწავლებლები ასწავლიდნენ: მანანა ჯიშკარიანი, გრიგოლ კარტოზია, ჯურუ ქარცხია, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჯაღრიდან ჩამოსული ბესარიონ მებონია.

ხობის რაიკომის პირველ მდივან ათანასე ჯიქიას ერთხელ თბილისელი სტუმარი ბატონი აკაკი ქავთარაძე ძველ ხიბულაში ჩამოუყვანია. სოფლის თავკაცებს, ჩამოსული სტუმრისათვის კარგი სუფრა გაუშალიათ გუდო ქარცხიას ოჯახში და უთხოვიათ ძველ ხიბულაში საშუალო სკოლის გახსნის საკითხი; სტუმარმა ეს თხოვნა უბის წიგნაკში ჩაიწერა და უმოკლეს დროში ხობის რაიკომს 1939 წელს მოუვიდა ცნობა ძველ ხიბულაში საშუალო სკოლის გახსნის შესახებ. დაწყებითი სკოლის შენობა მიჰყიდეს მასწავლებელ აკაკი ქვარაიას. ამ თანხით იყიდეს სკოლის საძირკვლისთვის აგური. მაშინ კარგი ხარისხის აგური–ქვა იყიდებოდა მდინარე ჭანისწყლის სანაპიროზე, აქედან მოზიდული აგურით ერთ კვირაში ახალი სკოლის საძირკველი აშენდა. როცა საქმე ხის მასალაზე მიდგა, საუკეთესო 300 ადგილიანი შესანიშნავი კულისების მქონე კლუბის შენობა დაურღვევიათ. ხანდაზმულები იხსენებენ, რომ მას შემდეგ სოფელს ცალკე კლუბი არ ღირსებია. სკოლის მშენებლობისთვის საჭირო ხის მორები მოსწავლეთა მშობლებმა თავინთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოზიდეს. სკოლის მშენებლობის დამთავრებისთანავე დაინიშნა საშუალო სკოლის პირველი დირექტორი ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულიშკარის მცხოვერები სევერიანე ფიფია, მის შემდეგ სკოლის დირექტორად მუშაობდნენ მიშა გიგიბერია, ვარლამ ჯანჯღავა, თომა ადამია.

თომა ადამიამ ბევრი შრომა გასწია, როგორც კადრების შერჩევაში, ასევე სკოლის შენობისთვის საკლასო ოთახების მიშენების საქმეში. მისი ინიციატივით სკოლას მიუშენეს ორი საკლასო ოთახი.



დაიწყო სამამულო ომი. სკოლის დირექტორი თომა ადამია, მასწავლებლები: ტატაჩი ქავთარაძე, პროკობ ქავთარაძე, კაჭია ქარცხია, გვაჯაბი ქვარაია, კაისა ჯაკონია, შალვა ჭითანავა, სერაპიონ კვარაცხელია ომში გაიწვიეს, საიდანაც მხოლოდ სერაპიონ კვარაცხელია დაბრუნდა.

ბატონმა პართენ ახალაიამ 15 წელიწადი იმუშავა ძველი ხიბულის სკოლის დირექტორად. მან სკოლას ოთხი საკლასო ოთახი მიუშენა. სკოლა თითქმის ადგილობრივი კადრებით იყო დაკომპლექტებული. პართენ ახალაია ზუბის სკოლაში დირექტორად გადაიყვანეს, ხოლო მასწავლებლები სხვა სკოლებში გაანაწილეს. ძველი ხიბულის საშუალო სკოლის დირექტორად ბატონი შალვა კემულარია დაუნიშნავთ. სასწავლო ნაწილის გამგედ ვალერიან ქვარაია, მაგრამ ბატონი შალვა მალე ახალი ხიბულის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. სკოლის დირექტორად ვალერიან შამათავა დანიშნეს. ბატონმა ვალერიანმა ორი საკლასო ოთახი მიუშენა სკოლას და იგი საჯიჯაოს საღამო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. ვალერიან ქვარაია ძველი ხიბულის საშუალოს სკოლის დირექტორად, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგედ კი ჯარნაზ ჯიშკარიანი დანიშნეს. მალე რაიონი ზუგდიდს შეუერთეს, ამან უფრო გაართულა სკოლაში მუშაობა. ერთ დღეს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა მოინახულეს ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელებმა ა. ქაცარავამ და ა. ჭეჟიამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბატონმა ჭიჭიკო ჯიშკარიანმა გააცნო მათ ვალერიან ქვარაია. სამმართველოს უფროსმა სკოლის მდგომარეობა მოიკითხა, როცა უთხრეს რომ სკოლას აწვიმდა ბატონმა ქვარცხავამ გადადო ფერმის გადახურვა და სკოლას გამოუყო სახურავი, ძვ. ხიბულის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის, შემდეგში ნოჯიხევის კოლმეურნეობის თავკაცის ისაკ თუთბერიძის დახმარებით შიფერი სკოლაში მოიტანეს და ლევან მირცხულავამ და იროდი ქავთარაძემ სკოლა გადახურეს.

დრო გადიოდა სკოლის შენობა სტანდარტებს ვერ პასუხობდა, ხობის რაიკომის პირველი მდივანის ალიოშა წურწუმიას და მაშინდელი განათლების განყოფილების გამგის შალვა ხარებავას უშუალო მონდომებით და დახმარებით დაიწყო სკოლის მშენებლობა. მშენებლობას სენაკელი ინჟინერები ბატონი დომენტი ქობალავა და ბატონი შაქრო ჩხეიძე ხელმძღვანელობდნენ. რაიკომის დავალებით გამოყოფილი იქნა 2 ავტომანქანა ადგილობრივი კოლმეურნეობიდან, მასწავლებლებმა ერთი თვის ხელფასის აღებაზე უარი განაცხადეს, ამან დააჩქარა საშენი მასალის გამოტანა.

ზუსტი მონაცემებით სკოლა დღემდე დაამთავრა 1435 ახალგაზრდამ. აქედან შვიდი მეცნიერებათა დოქტორია, ბატონები: ამირან ქარცხია, გუძია გვასალია, პაჭუ ქავთარაძე, ადამ ჯიშკარიანი, ელიზბარ ნადარაია, ჯანსუღ ღვინჯილია, კონსტანტინე ერანგია.

1984 წელს 60 წელი შეუსრულდა, ბატონ ვალერიან ქვარაიას, პენსიაზე გავიდა და მასწავლებლად გააგრძელა მუშაობა.

სკოლის დირექტორად ხიბულელი შალერ ლაშხია დაინიშნა, მალე ბატონი შალერი ბიის საშუალო სკოლაში გადაიყვანეს, ხოლო 1985 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა ახალ-ხიბულელი ბატონი ზვიად ღვინჯილია.



### საბავშვო ბაღი

საბავშვო ბაღის სპეციალისტმა ერიდა ჯიშკარიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ბაღის შენობა რომელშიც ბაღი წლების განმავლობაში იყო, და რომელიც ასეული წლების იტევდა ამორტიზებული გახლავთ, ამიტომაც ისინი ამჟამად ადმინისტრაციული შენობაის 5 ოთახში არიან განთავსებულნი. ბაღში ამჟამად 15 ბავშვი ირიცხება რომელსაც აღმზრდელი გეტა მუნჭავა და თანაშემწე მარინა პაჭკორია უძღვება.

*ხიბულა ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება 1525—1550 წლებში შედგენილ ბიჭვინთის იადგარში 1616—1621 წლებში. რომელიც წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხას, ხიბულიდან კათალიკოსის ლაშქრობაში 30 აზნაურიშვილი და მსახური ირიცხებოდა. 1616—1639 წლებში შედგენილ შეწირულობის წიგნში ბიჭვინთისადმი დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია გურიელი ამბობს: ...ხიბულიას საყდრის თარღისათვის ციხე სალაროდ გამიკეთებია, შიგან ორი კომლი დამისახლებია, საყდარი, სახლი და ჩარდახი დამიდგამს და ერთი სასახლეთ ის გამიკეთებია“ ეცყობა ციხე მალაქია კათალიკოსს მცრის შემორბევის დროს ახლომდებარე ეკლესიების საგანძურის შესანახად გადაუკეთებია ხიბულის ციხის რიყის ქვის სამშენებლო ფენა მალაქია კათალიკოსისეული, ხოლო შირიმის ქვის ფენა უფრო ძველი უნდა იყოს.*

*ოგიტა ჩიტაია „ისტორიული ძეგლები“*

**დღეს სოფლად სხვა პრობლემებია. ერთ დროს აქ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი იყო, სოფელს ბევრი წარჩინებული პიროვნება ჰყოლია, აქ არსებულ სკოლას მრავალი თაობები აღუზრდია და დღესაც აგრძელებს ჩვეულ ტრადიციას. სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება ძველი ხიბულის რწმუნებული ბატონი რამინ ბიგვავა:**

***ბატონო რამინ, მოგვიყევით თქვენი გვარის შესახებ, საიდან იყვნენ თქვენი წინაპრები?***

–ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში 1952 წლის 25 აპრილს დავიბადე. ჩემდა სამწუხაროდ ბიგვავების გვარი ჩვენი ოჯახის გარდა სოფელში არ არის. ეს გვარი უფრო ბიაშია გავრცელებული. ჩემი წინაპრებიც სწორედ, რომ, ბიიდან იყვნენ, კერძოდ ბაბუაჩემს ვასილ ბიგვავას ცოლად ბიელი ვარლამ ბურღაშვილის ქალიშვილი შეურთავს და მას ჩასიძებია. წლების შემდეგ კი ცალკე დასახლებულა. თავად გვარი ბიგვავები უფრო მეტად ზუგდიდში და მის მიმდებარე სოფლებში ნარაზენსა და დარჩელშია გავრცელებული. ჩემთვის ბიგვავების გაცნობა ყოველთვის დიდ სიხარულთანაა დაკავშირებული.

***თქვენი ოჯახი, შვილები...***

–მყავს მეუღლე ნინო ბარქაია პროფესიით მედდა, რომელიც სოფელს ათეული წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურებოდა.

შვილები: ლაშა და ნონა ბიგვავები. ლაშა–იურისტია, ამჟამად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის განყოფილებაში მუშაობს. ნონა–პედაგოგია, ჰყავს ოჯახი, მეუღლე მევლუდ სერგია, შვილი

>>>>>>>>>>>>>19

18 <<<<<<<<<<

სოფელი

# „ასიბე“–ოქროს თვალი...

ბარბარე.

***ბატონო რამინ, სოფელი ძველი ხიბულა, ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი დიდი სოფელია, როგორ ახერხებთ მის თავკაცობას?***

– ძველ ხიბულაში ვცხოვრობ. შრომითი საქმიანობა ბავშვობიდან დავიწყე. ზაფხულის არდადეგების პერიოდში დედაჩემთან ერთად ჩაის ვკრეფდი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის და სწავლის დამთავრების შემდეგ 1978 წლიდან ჩემს სოფელში ვმუშაობ. თითოეული ოჯახის ლხინი და გასაჭირი ვიცი. მოსახლეობას უბნების მიხედვით პერიოდულად ვხვდები. მათგან იმ საკითხებს ვისმენ, რომელიც მათ აწუხებთ და აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს. მუნიციპალიტეტის



ხელმძღვანელობის დახმარებით კი ვცდილობ მათი პრობლემების მოგვარებას.

ყოველთვის ვცდილობ მაქსიმალურად დავიხარჯო ჩემი სოფლის საკეთილდღეოდ. ჩემი ცოდნა და გამოცდილება გამოვიყენო. თითოეული თანასოფლელის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, რათა მაქსიმალურად შემცირდეს სოფელში უმწეო ოჯახთა რაოდენობა.

***ალბათ ბავშვობაში გიოცნებიათ, იმაზე, რომ თქვენი სოფელი უკეთესო ყოფილიყო, როცა თავად ჩაუდექით სოფელს სათავეში, რისი გაკეთება შეძელით მის საკეთილდღეოდ?***

–რა თქმა უნდა ბავშვობაშიც მიოცნებია და დღესაც ამის სურვილით ვცხოვრობ. ამისათვის კი 2004 წლიდან რაც მე სოფელს სათავეში ჩავუდექი, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, სოფელში ფეხბურთის მინი სტადიონი, საკონჯარიოს უბანში ღელე „სკურჩაზე“ კაპიტალური ხიდი გაკეთდა. საჯარო სკოლას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, ადმინისტრაციული შენობა გადაიხურა და 5 ოთახი გარემონტდა, სადაც ამჟამად საბავშვო ბაღია განთავსებული. ყოველწლიურად შიდა გზების შეკეთება ხდება, რადგან სოფლის ტერიტორიის ნაწილი არის მეწყერსაშიშ ზონაში და ბოლო წლებში ძლიერი ნალექებისაგან ზიანდება გზები. „შუაჭალის“ უბანში და ცენტრალური სასაფლაოს შემოკავების ნაწილი შეიცვალა, შეკეთდა შინმოუსვლელთა სტენდი.

***ყველა სოფელში აქტიურად ხორციელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ რა ხდება ამ მხრივ თქვენს სოფელში?***

–„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა უკვე მესამე წელია რაც სოფელში მოქმედებს. გასულ წელს, ამ პროგრამით საყურაშვილოს, საკონჯარიოს და ნაწილობრივ საჯაკონიოს უბნებში გზები შეკეთდა, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნე გასული წლის შემოდგომაზე და 2011 წლის გაზაფხულზე მოსულმა ძლიერმა ნალექმა ისევ დაგვინგრია. 2011 წელს ძველი ხიბულა–ნარაზენის შემაერთებელ გზაზე შეკეთდა ძლიერი ნალექებისაგან დაზიანებული მილ–ხიდი, ამ დღეებში დაიწყება საკონჯარიოს უბნის გზის შეკეთება პროექტის ღირებულება 9673 ლარს შეადგენს, სამუშაოების დაწყება იმის გამო შეფერხდა, რომ გზა იმდენადაა დაზიანებული, საჭიროებს პროფილის აღდგენას, რასაც სჭირდება მძიმე ტექნიკა. პროექტების შესრულებაში ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა დაკავებული.

***არც თუ ისე შორეულ წარსულში სოფლის მეურნეობას სოფელში პირველი ადგილი ეკავა, რა ხდება დღეს?***

– სოფელში ისევ სოფლის მეურნეობაა ძირითადი, კოლმეურნეობის პერიოდში ძირითადი ჩაის კულტურა იყო, რომელიც დღეს გაველურებულია და ტყე–ბუჩქნარად არის გადაქცეული. არადა ჩაი იყო მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო. დღეს კი შემოსავალის ძირითადი წყაროა: თხილი, სიმინდი, ნაწილობრივ ციტრუსი, დაფნა და ბოსტნეული.

მინდა გავიხსენო იმ თავკაცების საქმიანობა, რომლებიც ყოფილი კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდნენ: ათეული წლების განმავლობაში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ჭიჭიკო ჯიშკარიანი მუშაობდა, რომლის მუშაობის პერიოდში სოფელში აშენდა საშუალო სკოლის ახალი სამსართულიანი კაპიტალური შენობა თავისი სპორტდარბაზით, ცენტრალური გათბობით. ასევე მისი მუშაობის პერიოდში პირველად მდინარე ჭანისწყალზე ხიდი გაიდო.

1974–76 წლებში ბატონი აკაკი ღურწკაია, 1976–1978 წლებამდე ბატონი გალაქტიონ კილასონია, 1978–80 წლებში სოფელს ხელმძღვანელობდა ბატონი იგორ ტყებუჩავა, მისი მოსვლიდან რამდენიმე დღეში მან გაიგო ბებე კიტია–არაჩემიასგან, რომ სოფელში ჩამოტანილი იყო შინმოუსვლელთა ობელისკისთვის რკინაბეტონის კონსტრუქციები, რომლებიც რამდენიმე წელიწადი საწყობში ეყარა და არც გამკეთებელი გამოჩენილა, ბატონმა იგორიმ რამდენიმე თვეში გააკეთებინა შინმოუსვლელთა ობელისკი, რომელიც დღესაც ამშვენებს სოფელს. 1980 წელს, მისივე თაოსნობით სოფელში რამდენიმე ჰექტარზე ინდუსტრიული მეთოდით დაითესა იუგოსლავური ჰიბრიდული მოსავალი.

1980–1993 წლამდე სოფელს ბატონი ნუგზარ თუთბერიძე ხელმძღვანელობდა.

***დარწმუნებული ვარ სოფლის ჭირსა და ლხინს თანაბრად იზიარებთ. როგორია დღევანდელი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა? რა პრობლემაა დღეს-დღეობით სოფელში, რომელიც აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს?***

– სოფლად პრობლემებს რა გამოლევს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ბევრი პრობლემა მოგვარებულია, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა სოფლის საკეთილდღეოდ, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბლომადაა, სოფლის გაძლიერებისათვის პრესპექტივაში სოფლის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვა მესახება. ესენია ყოფილი ჩაის პლანტაცია, ტუნგოს პლანტაცია და წლების წინ გაიჯარებული მიწები, რომელიც 300 ჰექტარამდე ტერიტორიას შეადგენს. უნდა გაშენდეს სხვა კულტურა, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა და იქნება შემოსავალი.

და ბოლოს თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა თითოეულ ხობელს მოვეფერო, ჯანმრთელობა და გაძლიერება ვუსურვო, მჯერა უმოკლეს პერიოდში კიდევ უფრო გაძლირდება სრულად საქართველო და ჩემი ხიბულაც.

**გმადლობთ საუბრისათვის.**

**ნინო გერგაია**

სულთათანა

## სერაპიონ ცხადაია



13 სექტემბერს მეტად ტკივილიანი და სევდიანი ერთი წელი სრულდება იმ ავადმოსაგონარი დღიდან. წყნარად, თითქმის დაუნანებლად წახვედი სამუდამო სასუფეველში. შენს საფლავზე მისვლა მხოლოდ გახსენება არ არის, ესაა უმძიმესი დარდი, რომელსაც ვერანაირი დრო ვერ განკურნავს, სიყვარულით გიგონებენ კეთილ და საყვარელ მამას შვილები, საამაყო ადამიანს ნათესავები, კარგ მოსაუბრეს მეზობლები, გჯეროდეს, მუდმივად იქნები ჩვენს გვერდით, ჩვენს ხსოვნაში.

შენდამი დიდი სიყვარული და მონატრება არასოდეს განელდება, ყველა ფიქრი, ყველა ოცნება ისევ შენ გიკავშირდება.

გპირდები, შენს საფლავს არასოდეს მოაკლდება ახალ–ახალი ყვავილები, ხოლო სასუფევლისკენ მიმავალ გზას მუდამ გაგინათებს ჩემს მიერ დანთებული წმინდა სანთლები.

ძნელია უშენობა, გვენატრები...

**თამარ ლოლუა**

## თამარ ზარქუა



მედიცინის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ახალგაზრდა კოლეგების საუკეთესო მოძღვარი, შესანიშნავი პიროვნება, უაღრესად მოკრძალებული, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობის მქონე–თამარ იასონის ასული ზარქუა.

ქალბატონმა თამარმა თავის პროფესიას შეალია შეგნებული ცხოვრების ყველაზე დიდი დრო, მოახმარა მთელი თავისი ძალა და ენერგია, მონდომება და ცოდნა. ხალხის ჯანმრთელობის ამ სამსახურში ყოფნა არა მარტო მისი მოვალეობა, არამედ საყვარელი საქმე, ცხოვრების მიზანი იყო.

დაიბადა ქ. სოჭში 1922 წელს. 1949 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, მუშაობდა ქ. სოჭში უბნის თერაპევტად. დაოჯახების შემდეგ ქ. ხობში გადმოვიდა. 1962 წლიდან იყო ინფექციური განყოფილების გამგე, 1972 წლიდან მთავარი ექიმის მოადგილე. 1980 წლიდან წლების მანძილზე იყო ექიმ–მეთოდისტი და მეთოდურ დახმარებას უწევდა კოლეგებს, სადაც კი იმუშავა, ერთგულებით, გულმართლად უხდიდა ხარკს იმ ფიცს, რომელიც ათეული წლების წინ დადო, მაშინ როცა ექიმის პროფესიას ეზიარა.

ბევრ რამეს ვერ მოესწრო. საფიქრალი და სადარდებელი ერთადერთი ქალიშვილის ნანას ობოლი შვილების ვლადიმერისა და მიხოს ბედრნიერების წყურვილი გაჰყვა სამარადისო სასუფეველში. ქალბატონ თამარს დიდ ჯილდოდ მიაჩნდა ის, რომ ნანა გაჰყვა მის კვალს, რომელსაც ასე მოძღვრავდა: „იყავი საქმის ერთგული, გყავდეს სამეგობრო წრე და ცხოვრებას სალი თვალებით შეხედე. აგრძელე ჩემი ტრადიციები“.

წუთისოფელი... როგორი ტევადი სიტყვაა, როგორ გამოხატავს ადამიანის მართლაც წუთიერ ცხოვრებას.

წლები გარბიან და ისინი ვინც გვიყვარდა, ვისი სითბო და სიყვარული გვილამაზებდა ცხოვრებას, თანდათან მიდიან ამ ქვეყნიდან და სევდას და ტკივილს გვიტოვებენ.

დაე, თქვენმა მომკილმა სიყვარულმა გაგინათოთ ცათა სასუფეველი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა სული.

***კოლეგები.***

## თენგიზ (ბაჩი) ცხადაია



უშენოდ რა ძნელი ყოფილა სიცოცხლე მამიკო... ისევ უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე, 1 სექტემბერი, ამ დღეს 28 წელი შეგისრულდებოდა. ნეტავ იცოდე როგორ მენატრები. ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ოჯახის ბედნიერება, მოურჩენელმა ავადმყოფობამ წაგვართვა შენი თავი. ვერ გაიხარე შენს ლამაზ ოჯახთან, ერთადერთ შვილთან თანაცხოვრებით, რომელიც სიცოცხლეს გერჩივნე.

დედა ობლობის ტკივილს არ მაგრძნობინებს, ის ჩემთვის დედაცაა და მამაც, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, შენზე მონატრება უკიდეგანოა. მართალია ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს შენი ღიმილიანი და თბილი ალერსი. შენს ყოველ გახსენებას ჩემთვის ტკივილი და მონატრება მოაქვს. ეხლა უკვე დიდი ვარ და ვგრძნობ როგორ მაკლიხარ, როგორ მჭირდები. არაფერს მაკლებენ მამიდა ნათია და ბიძა ირაკლი, ცისანა მამიდას ხომ ნუ იტყვი, მაგრამ... ალბათ, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა შენ რომ ჩემს გვერდით ყოფილიყავი.

გთხოვ, დაიფარო ბებია და ბაბუა, რომლებიც შენი გარდაცვალების შემდეგ ცუდად არიან, ვერ გუობენ უშენობას, აუტანელი გახდა მათი ყოფა. ბებო ეკლესიაში დადის, ლოცულობს თითოეულ ჩვენთაგანზე და იქ ჰპოვებს სიმშვიდეს, მაგრამ ბაბუას მდგომარეობა გაუსაძლისია... მე და დედა კი მხოლოდ შენი მონატრებით ვცხოვრობთ...

გჯეროდეს მუდამ ჩვენს გულში იქნები, არასდროს დაგივიწყებთ, ყოველთვის სიყვარულით გაგიხსენებთ და შენზე ვილოცებთ.

მამიკო, გილოცავთ დაბადების დღეს. უფალს ვთხოვთ დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

***ლუკა ცხადაია***

---

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სათნო და სანდომიანი, სიცოცხლით სავსე, უზომოდ მოყვარული, კეთილშობილი პიროვნება

**რაისა კორტავა–ბასილაია**

ჩვენი გაზეთის გულშემატკივარი და ერთგული მკითხველი.

მისი გარდაცვალების გამო მწუხარებას განვიცდით და თანავუგრძნობთ მის მეულს, ჩვენს მეგობარსა და კოლეგა ლირა ბასილაიას, მეუღლე ნუგზარს, ერთადერთ ქალიშვილსა და მის ოჯახს, ახლობლებს... დასანანია ამ ქვეყნიდან მისი ნაადრევად წასვლა...

ნათელში ამყოფოს უფალმა.

---

შპს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ექიმ–ლაბორანტ ნანა იოსავას დედის

**თამარ ზარქუა–იოსავას**

გარდაცვალების გამო.

---

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი კეთილსინდისიერი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ქალბატონი, კარგი მეგობრი და დედა

**რაისა კორტავა–ბასილაია**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ხობის ომის შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე

**ხოთო ჭანტურია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნანი და ჯემალ ნადარაიები შვილებით მიხეილი და მარლენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფაცუ ნადარაია–ქირია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გვწერენ

# ახალგაზრდულ საღამოზე...

მე რუსეთიდან ჩამოვედი. ხობში რამდენიმე თვე №1 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი, და რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ჩემთვის ერთ-ერთი პრობლემა მათი მონახულება იყო. ჩემმა ბიძაშვილებმა მითხრეს, ხობში კულტურის სასახლის წინამდებარე მოედანზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ საღამოებზე, სადაც შეიძლებოდა მენახა ყველა მეგობარი, ვინც ამჟამად ქალაქში იყო. მართლაც რომ ასეა, დისკოთეკაზე გამოდის ახალდაზრდობა. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი მშვიდი და კომფორტული გართობისათვის. ნამდვილად კარგად არის ორგანიზებული ეს ღონისძიება, დაცულია უსაფრთხოების ზომები, რის გამოც მშობლები მშვიდად არიან. უკრავს გემოვნებიანი მუსიკა, დროდადრო ახალგაზრდები უბნების მიხედვით ცეკვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ძალიან ლამაზია ღამით ხობი და ეს კიდევ უფრო მიმზიდველს და ეფექტურს ხდის დისკოთეკას.

ასე, რომ წელს ძალიან კარგად გავერთე და დავისვენე ჩემს საყვარელ ხობში. რაც მთავარია, არ გამჭირვებია მეგობრების მოძიება.

ძალიან მომწონს დისკოთეკის მოწყობის იდეა და მინდა მადლობა გადავუხადო ამ პროექტის ავტორებს, რადგან ხობში ჩამოსულმა თუ ადგილობრივმა ახალგაზრდობამ (და არა მარტო მათ) დიდი სიამოვნება მივიღეთ. ამასობაში სწავლის, ჩემი გამგზავრების დრო დადგა. მადლობა ყველას ლამაზი დღეებისთვის.

***მედეა ლატარია***

მთელი ზაფხული დეიდას დავყავდი დისკოთეკაზე და ატრაქციონზე, სადაც შევიძინე ბევრი მეგობარი, რომლებთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. დისკოტეკაზე კარგად ვერთობოდი–ვცეკვავდი, ვუსმენდი მუსიკას ჩემთვის სასურველი რეპერტუარით. მალე ალბათ თბილისში დავბრუნდები, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ აქაურობა მომენატრება. ადრე არასოდეს ყოფილა ხობში დასვენება ასე ხალისიანი და საინტერესო. მადლობა მათ, ვინც ეს ლამაზი დღეები მაჩუქა.

***ანა-მარია გელეტაშვილი***

დაგვიანებული მილოცვა

# მწვრთნელი, მეგობარი, მასწავლებელი...



სპორტულ საზოგადოებაში კარგად იცნობენ, აფასებენ, უყვართ, მის აზრს ანგარიშს უწევენ... მსიამოვნებს, რომ ის ჩემი ბავშვობის მეგობარია, თანასოფლელი, კლასელი...

ერთი შეხედვით ჯმუხი, მკაცრი შესახედაობისაა, ხშირად გულგრილიც მოგეჩვენებათ, მაგრამ ამის გაფიქრებასაც დანაშაულად ჩაგითვლიან ისინი, ვისთანაც მას ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა.

წლებია რომან მორგოშია ქვალონის საჯარო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელია. ძნელად მოიძებნება ადამიანი, ახალგაზრდების ასეთ სიყვარულს იმსახურებდეს. ვიდრე ქვალონის სკოლაში მასწავლებლად დაბრუნდებოდა, ფოთის ტექნიკუმში ასწავლიდა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების აღმზრდელ, დამსახურებულ მწვრთნელ ზურაბ ტუღუშთან ერთად. ტუღუშის აღზრდილი ვარო–სიამაყით ამბობს და ღიმილიან დასტურსაც იმსახურებს...

ქვალონში თავიდან ჭიდაობა სამბოს, შემდგომ ძიუდოს სკოლა გახსნა. სწორედ აქ აღიზარდნენ ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში გოჩა ქარჩავა, ორგზის ევროპის პრიზიორი, ბავშვთა ოლიმპიადის პრიზიორი მერაბ ლაგვილავა, მისი ერთადერთი ვაჟი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ამჟამად ძიუდოს მწვრთნელი მიხეილ მორგოშია, რომელსაც მოგებული აქვს საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სამბოში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეცაა და მრავალი სხვა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ჩემპიონატებში. თითოეული წარმატებული მოჭიდავე მწვრთნელის არა მარტო დამსახურება, არამედ მისი სიამაყეა...

ამჟამად მამა-შვილს 24–24 ნორჩი მოჭიდავეების ჯგუფი ჰყავთ, 48 მოზარდი ჯანსაღი ცხოვრების წესით ეუფლება სპორტის ამ სახეობას.

ოთხი შვილისა და ოთხი შვილიშვილის ბაბუა რომან მორგოშია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია ჭიდაობა სამბოში. ვიდრე ამას მიაღწევდა წლები გაილია, მესამოცეც „უცებ" მოვიდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, ეგაა მაშინ მილოცვა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ არსებობს შეცდომები, რომლის გამოსწორება შეიძლება.

ხშირად ვამბობთ (და არა მარტო ჩვენ) მისი შვილის მიხეილ მორგოშიას შვილობას ყველა ქალი ინატრებდა, საამაყოდ ესეც ეყოფათ რომან და მზევინარ მორგოშიებს.

მიშიკოსთან ერთად ვგონებ, სიურპრიზად ეს „დაგვიანებული მილოცვაც" არანაკლებ სასიამოვნო იქნება ბატონი რომანისათვის. დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებ მას, მრავალგზის მოგველოცოს.

***მერი ლაგვილავა***

# უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად...

ხობელებს რომ ფეხბურთი უყვართ და მისი კარგი ქომაგებიც არიან, ახალი ამბავი არაა. ალბათ, ძველ თაობას უფრო ახსოვს ხობის „კოლხეთის" მაღალპროფესიული თამაშები, მიღწევები, თაობათა ცვლა. ახსოვთ მაყურებლის აზარტული გულშემატკივრობა, ხობს გარეთ გასულ გუნდს უკან გადევნებული ქომაგთა დიდი რაოდენობა, ზეიმი გამარჯვების შემდეგ.

დროის შეცვლამ საფეხბურთო ცხოვრებაც შეცვალა. გუნდში მოხდა ცვლილებები, როგორც ზედა ეშელონებში, ასევე ფეხბურთელთა შემადგენლობაშიც.

ახალი საფეხბურთო სეზონის დასაწყისშივე, შევეცდებით გაგაცნოთ ხობის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ადმინისტრაციის შემადგენლობა, ფეხბურთელები, მათი დოსიე, ჩასატარებელ თამაშთა ცხრილი.

***დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია კლუბ „კოლხეთის" უფროსი ბატონი ლადო ბუკია:***

* * *

დავიბადე 1955 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში. დავამთავრე თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი პირველი მაისის საშუალო სკოლაში, ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ფიზკულტურის მასწავლებლად. შემდგომ საცხოვრებლად ქ. მოსკოვში გადავედი, იქ საფეხბურთო კლუბ „კუნცევოში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად ვიმუშავე. ვარ პირველი კატეგორიის მსაჯი. ამჟამად ვარ საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" უფროსი.

მყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი, ერთი შვილიშვილი.

* * *

ხობის „კოლხეთს" ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია ყოფილიყო საფეხბურთო კლუბებს შორის ლიდერთა რიგებში. ის იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის II ლიგის მონაწილე, ის მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, დღევანდელი მდგომარეობით ხობის „კოლხეთი" მონაწილეობს II ლიგის გათამაშებაში. გასულ წელს 17 მონაწილე გუნდებს შორის 6–7 ადგილი გაიყო, ლანჩხუთის „გურიასთან" ერთად.

გუნდმა უკვე დაიწყო XXIII ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადება. ჩაატარა პირველი ოფიციალური მატჩი დავით ყიფიანის სახელობის თასზე. „კოლხეთმა" უმასპინძლა უმაღლესი ლიგის მონაწილე ფოთის „კოლხეთს" და მეტოქე ანგარიშით 2:1 დაამარცხა, ხოლო 3 აგვისტოს პირველ კალენდარულ მატჩში ხობის „კოლხეთმა" მიიღო ასევე ერთ-ერთი ძლიერი მეტოქე ჭიათურის „ჭიათურა", შეხვედრა ფრედ 1:1 დამთავრდა. ბურთი სტუმართა კარში ცოტნე ბუკიამ გაიტანა.

* * *

აუცილებელია, ხობის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ბაზაზე შეიქმნას რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფი, რათა ჩვენმა ძირითადმა გუნდმა დროულად მიიღოს სათანადო შევსება პერსპექტიული ფეხბურთელების სახით. აქვე დავძენ, რომ გუნდმა წელს მიიღო შევსება ახალი პერსპექტიული ფეხბურთელების სახით. ხობის სასპორტო სკოლიდან, ესენია: ზაზა გელაშვილი, ბაკურ ბუკია, ლევან გოგენია, რობიკო ცობეხია, ლაშა მეფიშვილი, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შეუდგნენ გუნდის ღირსების დაცვას.

* * *

ხობის „კოლხეთის" გუნდს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე ჩემპიონატში მიაღწიოს წარმატებებს, ანუ მოხვდეს პირველ სამეულში და იბრძოლოს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად.

***მანანა შულაია.***

**საქართველოს 2011 წლის XXIII ჩემპიონატის გრაფიკი**

პირველი წრე

**20 სექტემბერი**
„კოლხეთი" (ხობი)–ჩხერიმელა;
**25 სექტემბერი**
სტუ–„კოლხეთი" (ხობი);
**2 ოქტომბერი**
„კოლხეთი" (ხობი)–სამტრედია;
**6 ოქტომბერი**
ლოკომოტივი–„კოლხეთი" (ხობი).

## 2011 წლის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში

15 აგვისტოდან ხობის მუნიციპალიტეტში სტარტს აიღებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქ ხობის გუნდები, რომლებიც გადანაწილდნენ შემდეგ ქვეჯგუფებში:

A ჯგუფი
1. ძველი ხიბულა
2. ახალი ხიბულა
3. საჯიჯაო
4. ბია

B ჯგუფი
1 თორსა
2. ხამისქური
3. ხეთა
4. პირველი მაისი

C ჯგუფი
1. შავღელე
2. პატარა ფოთი
3. ქალადიდი
4. საგვიჩიო

D ჯგუფი
1. ყულევი
2. შუა ხორგა
3. ქარიატა
4. პირველი ხორგა

E ჯგუფი
1. ქვემო ქვალონი
2. შუა ქვალონი
3. ახალსოფელი
4. ზემო ქვალონი

F ჯგუფი
1. ხობი_1
2. ხობი_2\3. ნოჯიხევი
4. გურიფული

საფეხბურთო ტურნირის დასრულების შემდეგ დაიწყება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში, ფერნბურთსა და ჭადრაკში.

# ა ნ ო ნ ს ი

ყოველი კვირის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს საღამოს 21 საათზე

ხობის კულტურის სასახლის წინამდებარე მოედანზე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის ეგიდით

გაიმართება „ახალგაზრდული საღამო" (დისკოტეკა, პოეზიის წუთები, ახალგაზრდა შემოქმედთა დებიუტი, მხატვრულ ნამუშევართა გამოფენა)

წინადადებებისა და განცხადებებისათვის მიმართეთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის ოფისს.

მისამართი: ცოტნე დადიანის ქუჩა №234 ტელ: 8414 22-23-96.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე"

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შპს „ხობის მოამბეს" დირექტორი–მერი ლაგვილავა.
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში."
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.